ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის მარტის 20.	№ 2. განყოფილება პირველი	ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შინაარსი:

მუხ. 582. დაზღვეულთათვის და მათი ოჯახის წევრთათვის საკურორტო და სააგარაკო ადგილებში სამკურნალო დახმარების გაწევის წესის შესახებ.

„ 583. დაზღვეულთა ოჯახის წევრთათვის სამკურნალო დახმარების გაწევის შესახებ.

„ 584. საქველმოქმედო მარკების გამოშვებისა და ნებაყოფლობითი გამოსაღების შეკრეფის წესის შესახებ.

„ 585. საიმპორტო ფართლეულობის წანამატის შესახებ.

„ 586. სოციალური დაზღვევის წესისამებრ გასაცემი პენსიის ნორმების შესახებ.

„ 587. ამიერკავკასიის დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ თავიანთი მუშა-მოსამსახურეების რიცხვის თაობაზე ცნობების წარდგენის შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებთა სტუდენტების პრაქტიკისათვის ადგილების გამოსარკვევად.

„ 588. უმაღლესი კვალიფიკაციის მომუშავეთა არყოფნის გამო მათ ნაცვლად დროებით მომუშავე პირთა სასყიდლის შესახებ.

„ 589. სამომმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის საშეღავათო ტარიფის შესახებ.

„ 590. მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილთა სამუშაოზე მიღების წესის შესახებ.

„ 591. საშენი წითელი აგურის ფასის შესახებ.

„ 592. უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ მოსაწყობ საწარმოთა და კოლექტივთა თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 593. სოფლის მოსახლეობის საშრომო საგზაო ბეგარის შესახებ.

„ 594. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა სასარგებლოდ გამოსაღების დაწესების შესახებ.

„ 595. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლისათვის

„ 596. დებულება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შესახებ.

„ 597. საერთო დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების შესახებ.

„ 598. დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ.

„ 599. დებულება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შესახებ.

მუხ. 600 დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის შესახებ.
„ 601. დებულება სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისთვის, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება.
„ 602. დებულება სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისთვის, რომლიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება.
„ 603. დებულება სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება, და ამიერკავკასიის საოლქო სახალხო კავშირგაბმულობის სამმართველოს შესახებ.

დადგენილება № 8 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოსი.

1926 წ. იანვრის 29.

582. დაზღვეულთათვის და მათი ოჯახის წევრთათვის სამკურნალო დახმარების გაწევის წესის შესახებ საკურორტო და სააგარაკო ადგილებში და აგრეთვე ამა თუ იმ ადგილას დროებით ყოფნის დროს.

ამიერკავკასიის დაზღვევის საბჭოს 1925 წ. დეკემბრის 18-ს თარიღისა და მე-4 №-რის დადგენილების მე-8 მუხ. გასაუქმებლად ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო ადგენს:

1. ა) ყოველ დაზღვეულ პირს და მისი ოჯახის წევრს, რომელიც-კი თავისი ხარჯით წავა საკურორტო და სააგარაკო ადგილას, შეუძლიან ისარგებლოს სპეციალური ხასიათის სამკურნალო დახმარება (ფიზიატრიული, ბალნეოლოგიური პროცედურა, ტალახით წამლობა, თბილი ზღვის ვანნა და სხვ.) თავისივე ხარჯით, რასაც იგი ასეთ წამლობისათვის გადაიხდის სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ მშრომელი ელემენტებისათვის დაწესებული შეღავათიანი შეფასებით.

ბ) უკეთუ „ა“ პუნქტში აღნიშნული პირი უეცრად ავად გახდება (ეპიდემიური გადამდები ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა და სხვ.), იგი ისარგებლებს ჩვულებრივი ხასიათის სამკურნალო დახმარებას (სამბულატორიო, სტაციონერი, დახმარება სახლში და წამლები) საერთო წესის მიხედვით, რაც დადგენილია უწყებული რაიონის დაზღვეულთათვის.

2. ყოველი დაზღვეული პირი და მისი ოჯახის წევრი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით (წარვლინება, შვებულება და სხვ.) დროებით იმყოფება ამა თუ იმ

ადგილას თავის ან მეზობელ რესპუბლიკაში, უეცრად ავად გახდომის გამო ისარგებლებს ჩვეულებრივი ხასიათის სამკურნალო დახმარებას, ამა ადგილის დაზღვეულ პირთა თანაბრად.

საბჭოს თავმჯდომარე **ა. იაშვილი.**

აზერბაიჯანის ჯანმრთელობის
სახალხო კომისარი **ქიაზიმოვი.**

საქართველოს ჯანმრთელობის
სახალხო კომისარი **კუპაიძე.**

სომხეთის ჯანმრთელობის
სახალხო კომისარი **ლაზარევი.**

პასუხისმგებელი მდივანი **ბ. ევანგულოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1092 №-ში 1926 წ. თებერვლის 2-ს.

დადგენილება № 7 აპსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოსი.

1926 წ. იანვრის 29.

583. სამკურნალო დახმარების გაწევის შესახებ დაზღვეულთა ოჯახის წევრებისათვის, რომელნიც დაზღვეულთან არა სცხოვრობენ.

ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო ადგენს:

დაზღვეული პირის ოჯახის წევრი, რომელიც მუდმივ ცალკე სცხოვრობს, დაზღვეული პირის საცხოვრებელი ადგილის გარეშე, ისარგებლებს ყოველგვარ სამკურნალო დახმარებას იმ ადგილას, სადაც ოჯახი იმყოფება, საერთო წესისამებრ, რაც დადგენილია იმ ადგილის დაზღვეულ პირთა და მათი ოჯახებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე **ა. იაშვილი.**

აზერბაიჯანის ჯანმრთელობის
სახალხო კომისარი **ქიაზიმოვი.**

საქართველოს ჯანმრთელობის
სახალხო კომისარი **კუპაიძე.**

სომხეთის ჯანმრთელობის
სახალხო კომისარი **ლაზარევი.**

პასუხისმგებელი მდივანი **ბ. ევანგულოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1092 №-ში 1926 წ. თებერვლის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია № 8

584. საქველმოქმედო მარკების გამოშვებისა და ნებაყოფლობითი გამოსაღების შეკრეფის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1925 წ. თებერვლის 12-ს დადგენილებისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1924 წლის ნოემბრის 29-ს თარიღისა და 185 №-რის და 1925 წ. იანვრის 20-ს თარიღისა და 360 №-რის ცირკულიარების თანახმად, მან დაადგინა შემდეგი წესები საქველმოქმედო მარკების გამოშვებისა და ნებაყოფლობითი გამოსაღების შეკრეფისათვის:

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყოველგვარი ორგანიზაციის მიერ საქველმოქმედო და სხვა მიზნით მარკების გამოშვება და ხმარება და აგრეთვე ნებაყოფლობითი გამოსაღების შეკრეფა შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვით.

შენიშვნა. დადგენილება ესე არ გავრცელდება ფოსტისა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ საფოსტო განაგზავნისათვის საჭირო მარკების გამოშვებაზე.

2. საქველმოქმედო მარკაზე მოთავსებულ უნდა იქნეს სრულად შემდეგი წარწერა: ა) საქველმოქმედო მარკა; ბ) იძულებით არ იხმარება; გ) არ მიიღება და არ გაიცემა ფულის ნიშნის ნაცვლად.

3. თავისი ფორმით და გარეგნობით საქველმოქმედო მარკა საღერბო მარკისაგან უნდა განირჩეოდეს.

4. საქველმოქმედო მარკა დამზადებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ნიშნების დამმზადებელი სამმართველოს მეშვეობით.

5. რაიმენაირი იძულება, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, საქველმოქმედო მარკების გავრცელებისა ან ნებადართული გამოსაღების აკრეფის დროს სასტიკად აკრძალულია.

6. მმართველობის ორგანოების (მილიცია, აღმას. კომ. ადმინ. განყ. და სხვ) მონაწილეობა ნებაყოფლობითი გამოსაღების მოწყობისა ან გადახდევინების საქმეში, აგრეთვე მათ მიერ რაიმე განკარგულებისა, ცირკულიარისა და მოწოდების გამოცემა აღნიშნული გამოსაღებისა და შეწირულების განხორციელებისათვის აკრძალულია.

7. ყველა დაწესებულება, საზოგადოება და პირი, რომელიც-კი მოაწყობს რაიმე გამოსაღებისა და შეწირულების შეკრეფას თვინიერ დაწესებული ნებართვისა, ან რითმე დაარღვევს ამა დადგენილებას, პასუხს აგებს სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის თანახმად.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის
მოადგილე **ე. გენკინი.**

საგალიუტო სამმართველოს უფროსის
მოადგილე **ლ. ანანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1094 №-ში 1926 წ. თებერვლის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1066 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მომწესრიგებელი სამმართველო)

1926 წ. თებერვლის 2.

585. საიმპორტო ფართლეულობის წანამატის შესახებ.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღისა და 23 №-რის დადგენილებისა და 1925 წ. მაისის 13-ს თარიღისა და 41 №-რის დადგენილების დასამტებლად, ადგენს:

1. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წლის იანვრის 5-ს თარიღისა და 23 №-რის დადგენილების მე-2, 3 და 4 მუხლებით და 1925 წ. მაისის 13-ს თარიღისა და 41 №-რის დადგენილებით სსრკ საფეიქრო ფაბრიკების მიერ ნაწარმოები ფართლეულის ბითუმი, ნახევარ-ბითუმი და ცალობითი ვაჭრობისათვის დაწესებული წანამატი გავრცელებულ იქნეს აგრეთვე საიმპორტო ფართლეულზე, რაც ა/კსფსრ ფარგლებში იქნება შემოტანილი.

2. საიმპორტო ფართლეულის ძირითად ფასებად, რასაც შემდგომ ბითუმი, ნახევარ-ბითუმი და ცალობითი ვაჭრობისათვის წანამატი დაერთვის, ჩაითვალოს სსრკ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული და ხსენებული კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფასები.

3. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სიზუსტით შესრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს
უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1097 №-ში 1926 წ. თებერვლის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 7 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. იანვრის 29.

586. სოციალური დაზღვევის წესისამებრ გასაცემი პენსიის ნორმების შესახებ.

„სოციალური დაზღვევის დახმარებისა და პენსიის ნორმების შესახებ“ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1925 წ. აპრილის 18-ს თარიღითა და 24 №-რით გამოცემული (ა/კ. შრ. ს. კ-ტის შრომ. კანონმდებ. ვესტნიკი“-ს 1925 წ. 8-9 №-რი) დადგენილების დამატებისათვის ამიერკავ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კ. ფედერაციის ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წლის იანვრის 4-ს თარიღისა და 6/900 №-რის დადგენილება „სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიის ნორმების შესახებ“

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი და
ა/კ. შრ. სახ. კომ. მთავარი სოც. დაზღვევის
სამმართველოს უფროსი ა. იაშვილი.

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი.

1926 წ. იანვრის 4. № 6/900.

სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიის ნორმების შესახებ.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის დახმარებისა და პენსიის ნორმების შესახებ“ 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღითა და 77—904 №-რით გამოცემული (სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“ ს 1925 წ. მე-14 №-რი [1]) დადგენილების შესაკლებლად—სსრკ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო, თანახმად სსრკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აგვისტოს 28-ს დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა (მე-6 მუხ.) შრომის ინვალიდთა, აგრეთვე გარდაცვალებულ და უკვალოდ გადახვეწილ დაზღვეულ პირთა და შრომის ინვალიდთა ოჯახის წევრების უზრუნველ-

[1]) ა/კ. ფედერაციის ტერიტორიაზე გავრცელებულია ა/კ. შ. ს. კ. 1925 წ. აპრილის 18-ს თარიღისა და 24 №-რის დადგენილებით („ა/კ. შ. ს. კ. შრომის კანონმდ. ვესტნიკი“-ს 1925 წ. 8—9 №-რი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფის შესახებ სოციალური დაზღვევის წესით“ (სსრკ. კანონ. კრებ. 1925 წ. 57 №-რი, მუხ. 429 [1]) ადგენს:

1. პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად შრომის ინვალიდისათვის, რომლის ინვალიდობაც თავდაპირველად დამტკიცებულია საექსპერტო კომისიების მიერ 1925 წ. ოქტომბრის 1-ს შემდეგ, მიღებულ უნდა იქნეს მისი ფაქტიური თვიური სამუშაო ხელფასი სამი საკალენდრო თვის განმავლობაში, რაც წინ უძღოდა ქირავნობით მუშაობისათვის თავდანებებას ან ინვალიდობის დამტკიცებას, უკეთუ ამ დროისათვის ქირავნობით ხუშაობა შეწყვეტილი არ იყო.

2. გარდაცვალებული ან უკვალოდ გარდახვეწილი დაზღვეულის ოჯახისათვის პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად, უკეთუ სადასაზღვეო შემთხვევა 1925 წ. ოქტომბრის 1-ლის შემდეგ მოხდა, მიღებულ უნდა იქნეს ოჯახის მარჩენალის ფაქტიური თვიური სამუშაო ხელფასი სამი საკალენდრო თვის განმავლობაში, რაც წინ უძღოდა ქირავნობით მუშაობისათვის თავდანებებას.

3. პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად შრომის ინვალიდისათვის, რომლის ინვალიდობაც დამტკიცებულია საექსპერტო კომისიის მიერ 1925 წ. ოქტომბრის 1-დე, აგრეთვე გარდაცვალებული და უკვალოდ გარდახვეწილი დაზღვეულის ოჯახისათვის, უკეთუ სადასაზღვეო შემთხვევა 1925 წ. ოქტომბრის 1-დე მოხდა, მიღებულ უნდა იქნეს იმავე პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშათა და მოსამსახურეთა თვიური სამუშაო ხელფასი იმ ადგილის სათანადო პროფესიონალური კავშირისა, სადაც ამა დადგენილების ძალაში შესვლის მომენტისათვის სცხოვრობს შრომის ინვალიდი ან გარდაცვალებული და უკვალოდ გარდახვეწილი დაზღვეულის ოჯახი. აღნიშნული საშუალო ხელფასის განსაზღვრისათვის საფუძვლად მიღებულ უნდა იქნეს 1925 წ. ივლის-აგვისტო-სექტემბრის თვიური ცნობები.

4. პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად იმ გარდაცვალებული შრომის ინვალიდისა ან უკვალოდ გარდახვეწილის ოჯახისათვის, რომელიც სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფილი იყო, ან რომელსაც საამისო უფლება ჰქონდა, მიღებულ უნდა იქნეს ის სამუშაო ხელფასი, რომლის მიხედვითაც, თანახმად ამა დადგენილების 1 და 3 მუხ., გამოანგარიშებული იყო ან გამოანგარიშებულ უნდა ყოფილიყო პენსია ამ ინვალიდისათვის.

5. პირველი ჯგუფის (სრული პენსია) ინვალიდის პენსიის ნორმა განისაზღვრება იმ სამუშაო ხელფასის $^2/_3$-თ, რაც, ამა დადგენილების 1-და 3 მუხ. თანახმად, მიღებულია პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად; მე-2 ჯგუფის ინვალიდის პენსიის ნორმა განისაზღვრება სრული პენსიის $^2/_3$-თ; მე-3 ჯგუფის ინვალიდის პენსიის ნორმა განისაზღვრება ამ პენსიის $^1/_2$ თ.

6. გარდაცვალებული ან უკვალოდ გარდახვეწილ დაზღვეულისა ან და შრომის ინვალიდის ოჯახის პენსიის ნორმა განისაზღვრება: სამი და მეტი წევრიანი ოჯახისათვის—იმ სრული პენსიის $^2/_3$ რაოდენობით, რომლის გამოანგარიშების საფუძვლადაც მიღებულია სამუშაო ხელფასი ამა დადგენილების 2 და 4 მუხლის თანახმად; ორი წევრიანი ოჯახისათვის—აღნიშნული სრული პენსიის $^1/_2$ რაოდენობით; ერთი წევრიანი ოჯახისათვის—სრული პენსიის $^1/_3$ რაოდენობით.

---

[1]) გამოქვეყნებულია „ა/კ. შ. ს. კ. შრომ. საკანონმდ. ვესტნიკ“-ს 1925 წ. მე-18 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად მისაღები სამუშაო ხელფასის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უწყებული ადგილის საშუალო თვიური სამუშაო ხელფასის სამ-მაგ რაოდენობას იმ მომენტისათვის, როდესაც დანიშნულ იქნება პენსია ამა დადგენილებაში გათვალისწინებული რაოდენობით. ამა თუ იმ თვითეული პენსიის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საშუალო თვიური სამუშაო ხელფასის სამ-მაგ რაოდენობის სათანადო ნაწილს, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების 5 და 6 მუხ. მუხლით.

8. ამა დადგენილების თანახმად დანიშნული პენსია შრომის ინვალიდისათვის, რომლის ინვალიდობაც დამტკიცებულია 1925 წ. ოქტომბრის 1-დე, ან გარდაცვალებული და უკვალოდ გარდახვეწილი დაზღვეულის ოჯახის წევრისათვის, უკეთუ სადასაზღვევო შემთხვევა 1925 წ. ოქტომბრის 1-დე მოხდა (ამა დადგენილების მე-3 მუხ.), არ უნდა იყოს იმ პენსიაზე ნაკლები, რომელსაც იგი ამა დადგენილების ძალაში შესვლამდე (მუხ. 14) იღებდა ან უნდა მიეღო სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღისა და 37-904 №-რის დადგენილების („სსრკ. შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1925 წ. მე-14 №-რი) თანახმად.

9. იმ შრომის ინვალიდის პენსია, რომლის ინვალიდობაც დამტკიცებულია 1925 წ. ოქტომბრის 1-ს შემდეგ, არ შეიძლება იყოს:

ა) 1-ლი ჯგუფის ინვალიდისათვის—50 პროც. ნაკლები უწყებული ადგილის საშუალო თვიური სამუშაო ხელფასისა იმ მომენტისათვის, როდესაც დანიშნულ იქნება პენსია ამა დადგენილებაში გათვალისწინებული რაოდენობით;

ბ) მე-2 და 3 ჯგუფის ინვალიდისათვის და გარდაცვალებული ან უკვალოდ გარდახვეწილი დაზღვეულის ოჯახისათვის—უწყებული ადგილის საშუალო თვიური სამუშაო ხელფასის 50 პროცენტის სათანადო ნაწილზე ნაკლები. მაგრამ მაინც ამა მუხლში აღნიშნული უფმკრესი რაოდენობა პენსიისა არ უნდა აღემატებოდეს 1-ლი ჯგუფის ინვალიდისათვის მის ფაქტიურ სამუშაო ხელფასს, რაც გამოანგარიშებული იქნება ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, ხოლო მე-2 და 3 ჯგუფის ინვალიდისათვის და გარდაცვალებული ან უკვალოდ გარდახვეწილი დაზღვეულის ოჯახისათვის—ამ ხელფასის სათანადო ნაწილს.

10. ამა დადგენილების 1 და 9 მუხ. აღნიშნული საპენსიო ნორმები არ გავრცელდება იმ ინვალიდზე, რომელსაც შრომის უნარი დაუკარგავს ისეთი დაზიანების გამო, რაც დაკავშირებულია საქირავნო მუშაობასთან, ან პროფესიონალური ავადმყოფობის გამო; არ გავრცელდება აგრეთვე იმ დაზღვეულის ოჯახზე, რომელიც ზემოაღნიშნული მიზეზით გარდაიცვალა. ამ კატეგორიების ინვალიდები და დაზღვეულთა ოჯახები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. იანვრის 3 ს თარიღისა და 2—500 №-რის დადგენილებისა („სსრკ. შრ. სახ კომ. იზვესტია“-ს 1924 წ. 1-ლი №-რი [1]) და 1924 წ. ივნისის 16-ს თარიღისა და 287—564 № რის დადგენილების („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1924 წ. 27 №რი [2]) წესის თანახმად.

---

[1]) ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სათანადო დადგენილება 1924 წ. აპრილის 5-ს თარიღითა და 91 №-რით („ა/კ. შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1924 წ მე-8 №-რი).

[2]) ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სათანადო დადგენილება 1924 წ. ივლისის 5-ს თარიღითა და 110 №-რით („ა/კ. შრ. სახ. კ-ტის იზვ.“ 1924 წ. მე-11 №-რი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. უწყებული ადგილის საშუალო სამუშაო ხელფასის რაოდენობა განისაზღვრება საგუბერნიო და მისი თანაბარი პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ.

12. სათანადო პროფესიონალური კავშირის იმავე პროფესიისა და კვალიფიკაციის მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის რაოდენობა (ამა დადგენილების მე-3 მუხ.) განისაზღვრება სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც საგუბერნიო ან მის თანაბარ დამზღვევ სალაროსთან არსებობს, და რომელსაც შეადგენენ: დამზღვევი სალაროს, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და სათანადო კავშირის განყოფილების წარმომადგენელნი. უკეთუ სალაროს კომიტეტის წარმომადგენელი თანახმა არ იქნება კომისიის გადაწყვეტილებისა, საკითხს სალაროს კომიტეტი გადასწყვეტს.

შენიშვნა. სატრანსპორტო დამზღვევ ორგანოებში ამა მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს გადასწყვეტს შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია: საგზაო (სარაიონო, წყალთა) სალაროსი, რკინის გზის პროფ. კავშირთა საბჭოსი, წყალთა სარაიონო კომიტეტისა და რკინის გზის გამგეობისა ან წყალსავალ გზათა სამმართველოსი (დანორმვის განყოფილება ან ბიურო).

13. პენსიის დანიშვნის მთხოვნელმა უნდა წარადგინოს დამზღვევ ორგანოში თავისი სამსახურის ადგილის ცნობა სამუშაო ხელფასის შესახებ იმ სამის თვის განმავლობაში, რაც წინ უძღოდა საქირავნო მუშაობისათვის თავდებებას და ინვალიდობის დამტკიცების შესახებ ან სიკვდილის შესახებ.

14. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1926 წ. იანვრის 1-დან.

პენსიის რაოდენობა შრომის ინვალიდებისა და გარდაცვალებულ ან უკვალოდ გარდახვეწილ დაზღვეულთა ოჯახის წევრებისა და შრომის ინვალიდების ოჯახის წევრებისა, რომელნიც პენსიას 1926 წ. იანვრის 1-დე იღებდნენ, გადასინჯულ უნდა იქნეს ამა დადგენილებისადა მიხედვით არა უგვიანეს ოთხის თვისა დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან. ახალი ნორმებით პენსია დანიშნულ უნდა იქნეს მთელი დროისათვის, 1926 წ. იანვრის 1-დან; ხოლო ვიდრე გადაისინჯებოდეს, პენსიები გაიცემა ავანსად წინანდელი პენსიის რაოდენობით, იმ პირობით კი, რომ, ახალი რაოდენობის პენსიის დაწესებისათანავე, ანგარიში ხელახლად იქნეს გასწორებული მთლად იმ დროისათვის, რაც 1926 წლის იანვრის 1-დან გაივლის.

სოციალური დაზღვევის საკავშირო
საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ **ფაინგოლდი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1098 №-ში 1926 წ. თებერვლის 9-ს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 5 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. იანვრის 26.

587. ამიერკავკასიის დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ თავიანთი მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვის თაობაზე ცნობების სავალდებულო წარდგენის შესახებ, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკისათვის ადგილების გამოსარკვევად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სტუდენტების პრაქტიკანტობის შესახებ“ 1925 წ. მაისის 25-ს თარიღითა და 29 №-რით გამოცემული (გამოქვეყნებულია „შრომის კანონმდ. ვესტნიკ“-ის 1925 წლ. მე-10—11 №-რში) დადგენილებისა და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კ- პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსაგან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სტუდენტების პრაქტიკანტობის შესახებ“ 1925 წ. მაისის 25-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდების წესის თაობაზე 1925 წ. ივნისის 9-ს თარიღით გამოცემული (გამოქვეყნებულია „შრომის კანონმდებლობის ვესტნიკ“-ის 1925 წ. მე-12 №-ში) ინსტრუქციის თანახმად,—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ამიერკავკასიის ყველა სახალხო კომისარიატი, სამეურნეო და წარმოებითი ორგანო და სამმართველო, აგრეთვე ის საზოგადოებრივი, კოოპერატიული და კერძო საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღემატება: საწარმოში—50-ს, ხოლო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში—25-ს, მოვალეა წარუდგინოს, არა უგვიანეს ა/წ. მარტის 1-სა, ამასთანავე დართული ფორმით, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს ცნობა, თუ რამდენი მუშა ან მოსამსახურე მეცადინეობს მასთან,—რათა განსაზღვრულ იქნეს ამა თუ იმ დაწესებულებაში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების პრაქტიკის ადგილების რაოდენობა.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილების გამგე **გრიგორიანი.**

ა/კ. შრომის სახ. კ-ტისა და ა/კ. პროფ. კავშ. საბჭოს 1925 წ. ივნისის 9-ს ინსტრუქციის მე-9 მუხ. დანართი.

შედგენილ უნდა იქნეს ყველა (სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო) საწარმოსა და დაწესებულებაში, სადაც მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი აღემატება: დაწესებულებაში—25 კაცს, ხოლო საწარმოში—50 კაცს.

დაწესებულება და სახალხო კომისარიატი ცნობას წარუდგენს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს ყოველწლივ, არა უგვიანეს მარტის 1—სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების პრაქტიკისათვის ქონებული ადგილების შესახებ 1926 წ.

ცენტრალური სახელმწიფო ან სამეურნეო ორგანოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის (ა|კსფსრ) სახელწოდება და სწორი მისამართი.

1. სახელწოდება საწარმოსი და დაწესებულებისა.

2. სწორი სამყოფელი ადგილი წინა გრაფაში აღნიშნული დაწესებულებისა და საწარმოსი.

3. საერთო რიცხვი 1 ლ გრაფაში აღნიშნულ დაწესებულებასა და საწარმოში მომეცადინე მუშებისა და მოსამსახურეებისა იანვრის 1-თვის-

4. სასყიდლიანი პრაქტიკანტების რიცხვი, რაც უწყებულ დაწესებულებასა, საწარმოს და სხვ. მიეკუთვნება ა|კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მაისის 25-ს დადგენილებით გათვალისწინებული ნორმის თანახმად*)

5. რა სპეციალობის პრაქტიკანტია საჭირო უწყებულ დაწესებულებაში, საწარმოში და სხვ. სასყიდელით და რამდენი თვითეული სპეციალობისათვის.

6. რამდენი სტიპენდიატი ჰყავს უწყებულ დაწესებულებასა, საწარმოს და სხვ.. დართულ უნდა იქნეს სახელობითი სია სტიპენდიატებისა, უმაღლეს სასწავლებლებზე და ფაკულტეტებზე დანაწილებით და იმ სპეციალობის აღნიშვნით, რომლისთვისაც ისინი გამოყენებულ უნდა იქნენ.

1926 წ. . . . . (თვ.) . . . (რიცხვი)

საწარმოს ან დაწესებულების დირექტორისა ან გამგის ხელისმოწერა.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1101 №-ში 1926 წ. თებერვლის 12-ს.

დადგენილება № 9 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. თებერვლის 10.

588. უმაღლესი კვალიფიკაციის მომუშავეთა არყოფნის გამო მათ ნაცვლად დროებით მომუშავე პირთა სასყიდლის შესახებ.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „უმაღლესი კვალიფიკაციის მომუშავეთა არყოფნის გამო მათ ნაცვლად დროებით მომუშავე პირთა სასყიდლის შესახებ" 1923 წ. აგვისტოს 1-ს თარიღითა და 64 №-რით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად — ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაბალი კვალიფიკაციის მომუშავე,—რომელიც დროებით მაღალი კვალიფიკაციის მომუშავის მოადგილეობას ეწევა მისი ავადმყოფობისა, შვებულებისა ან წარვლინების გამო არყოფნის დროს, და რომელსაც მოადგილისა და

---

*) 2% დაწესებულებაში მომეცადინე მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვისა, და 1% საწარმოში მომეცადინე მოსამსახურეებისა და მუშების რიცხვისა (რიცხვი გამოანგარიშებული და დასმულ უნდა იქნეს თვით დაწესებულებისა, საწარმოს და სხვ. მიერ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაშემწის თანამდებობა ან ისეთი თანამდებობა უჭირავს, რომ თავისი სამსახურის მიხედვით მოწოდებულია ზემოაღნიშნული მომუშავის მოადგილეობა გასწიოს,—მიიღებს თავის სამუშაო ხელფასს მუდმივი თანამდებობისდა კვალად.

2. უკეთუ დაბალი კვალიფიკაციის ტეხნიკური მომუშავე დროებით მაღალი კვალიფიკაციის ტეხნიკური მომუშავის მოადგილეობას ეწევა და ეს უკანასკნელი არ შეესაბამება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირობებს,—ზემოხსენებული დაბალი კვალიფიკაციის ტეხნიკური მომუშავის სასყიდელი დაწესებულ უნდა იქნეს მათი სატარიფო განკვეთების განსხვავების ფარგალში.

3. უკეთუ ერთი სპეციალისტი მეორე სპეციალისტის მოადგილეობას ეწევა და ეს უკანასკნელი არ შეესაბამება ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ პირობებს, თანაც იგი სამუშაო ხელფასს მაღალი განაკვეთით იღებს,—სასყიდელი მოადგილეობის დროის განმავლობაში დაწესებულ უნდა იქნეს მხოლოდ ძირითადი სატარიფო განაკვეთის განსხვავების ფარგალში.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის ა|წ. თებერვლის 1-დან და შეფარდებულ უნდა იქნეს აგრეთვე ყველა იმ შემთხვევისათვის, რაც ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გადაწყვეტილი არ არის.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი.**

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის

საერთო-საორგანიზ. განყოფ. გამგე **ნასყიდაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 1101 №-ში 1926 წ. თებერვლის 12-ს.

დადგენილება № 2 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

589. სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის დროებითი საშელავათო ტარიფის შესახებ.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი დროებითი საშელავათო ტარიფი შესატანი გადასახადისა იმ პირთა სოციალური დაზღვევისათვის, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან კოოპერატიულ ორგანიზაციებში:

1) ყველა, როგორც პირველადი, ისე საკავშირო, სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციის მთავარი და ფილიალური კონტორისათვის,—იმ წვრილ კოოპერატივების გამოკლებით, სადაც თანამშრომელთა რიცხვი ხუთს არ აღემატება,—10 პროც. (აქედან სამკურნალო დახმარების ფონდში—2,5 პროც.)

2) წვრილი პირველადი კოოპერატივებისათვის, სადაც თანამშრომელთა რიცხვი ხუთს არ აღემატება,—11 პროც. (აქედან სამკურნალო დახმარების ფონდში—3 პროც.)

3) სავაჭრო კოოპერატიულ საწარმოთათვის (მაღაზია, დუქანი, საალაფო, საწყობი, სასადილო, დახურული საგანმანაწილებლო, ვაჭრობა ტარებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონინობით), როგორც კოოპერატივების კავშირისა, ისე პირველადი კოოპერატიული საგაკრო საწარმოსი—12 პროც. (აქედან სამკურნალო დახმარების ფონდში—3 პროც.)

4) ყოველგვარი წარმოების სამრეწველო საწარმოსათვის,—პურის ცხობის წარმოების გამოკლებით,—როგორც კოოპერატივების კავშირისა, ისე პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციებისა,—14 პროც. (აქედან სამკურნალო დახმარების ფონდში—3,5 პროც.)

შენიშვნა. პურისცხობის სამრეწველო საწარმოთათვის, როგორც კოოპერატივების კავშირისა, ისე პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციებისა,—11 პროც. (აქედან სამკურნალო დახმარების ფონდში—3 პროც.)

II. დადგენილება ესე ძალაში შესულად ჩაითვალოს 1925 წ. ოქტომბრის 1-დან.

ა|კ. სფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა|კ. სფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. თებერვლის 11. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1104 №-ში 1926 წლის თებერვლის 16-ს.

დადგენილება № 8 ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. თებერვლის 10.

590. მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილთა სამუშაოზე მიღების წესის შესახებ.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა|კ. ფედერაციის ტერიტორიაზე **სსრკ** შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წლის იანვრის 29-ს თარიღისა და 22|101 №-რის დადგენილება „მუშათა თა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილთა სამუშაოზე მიღების წესის შესახებ".

ა|კ. შრომის სახალხო კომისრის
მაგიერ **ა. იაშვილი.**

ა|კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის ბაზრის
განყ. გამგე **გრიგორიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. იანვრის 29 № 22|101.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილთა სამუშაოზე მიღების წესის შესახებ.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა შეღავათების შესახებ გამოცემულ კანონთა კოდექსის 81—89 მუხ. თანახმად (სსრკ კან. კრებ. 1925 წ. 37 №-რი, მუხ. 275) **სსრკ** შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილი პირი ყველა შემთხვევაში, როდესაც იგი სამუშაოზე გაიგზავნება და მიიღება, გათანასწორებულია პროფესიონალურ კავშირთა წევრთან, კერძოდ, იმ შემთხვევაშიაც, როდესაც კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სამუშაოზე უპირატესად ან უფუპველად კავშირთა წევრის მიღება.

2. იმ თანამდებობის გაუქმება, რომელიც განთავისუფლდა ვისიმე მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში და მუშათა და გლეხთა წითელ ფლოტში გაწვევით, შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ უკანასკნელ რიგში, შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოს განსაკუთრებული ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

3. იმ თანამდებობაზე, რომელზედაც აუცილებლად დანიშნულ უნდა იქნენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილნი, სხვა პირი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ შემდეგ ორ შემთხვევაში:

ა) უკეთუ დადგენილ ვადაზე თანამდებობის განთავისუფლებისას დამქირავებელს არ მიუღია განცხადება სამუშაოზე მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან იმ დათხოვნილი პირის მიღების შესახებ, რომელსაც უფლება აქვს დაიჭიროს ესა თუ ის თანამდებობა.

ბ) უკეთუ დამქირავებელმა წარუდგინა შრომის ბარჟას განცხადება თავისუფალი თანამდებობის დასაჭერად მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილი პირის გამოგზავნის შესახებ, მაგრამ ეს მოთხოვნა არ იქნა შესრულებული დადგენილ ვადაზე, იმ მიზეზით, რომ აღნუსხვაზე არ ირიცხებოდნენ სათანადო კატეგორიის პირნი (შრომის ბირჟა მოვალეა, დამქირავებლის მოთხოვნით, მისცეს მას ამის თაობაზე სათანადო ცნობა).

შენიშვნა. ამა-მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ ვადებს დაადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები.

4. დამქირავებელი ვერ მოითხოვს, რომ მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილს პროფესიონალური მომზადება და კვალიფიკაცია ჰქონდეს, როდესაც მას სადარაჯო და დაცვის სამსახურისათვის დაიქირავებს, რომელ დაწესებულებასა და საწარმოშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოხდეს ეს დაქირავება. ამასვე დამქირავებელი ვერ მოითხოვს არმიიდან და ფლოტიდან დათხოვნილი პირის უბრალო მუშად დაქირავების დროს.

ყველა სხვა შემთხვევაში, უკეთუ დავა აღიძვრის იმის შესახებ, ვარგა თუ არა მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და გლეხთა და მუშათა წითელი ფლოტიდან დათხოვნილი პირი მისაცემ სამუშაოსათვის, საკითხს გადასწყვეტს შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანო.

5. ის დამქირავებელი, რომელიც ან პირდაპირ დაარღვევს ან გზას აუქცევს მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილებისათვის სამუშაოს მიცემის წესის შესახებ მომქმედ კანონებს, შრომის ინსპექციის მიერ პასუხისგებაში მიიცემა სისხლის სამართლის წესით, როგორც შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის.

6. მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტიდან დათხოვნილის საჩივარი იმის შესახებ, რომ მას უკანონოდ ეთქვა უარი სამუშაოდ მიღებაზე, წარედგინება ადგილობრივი შრომის ინსპექტორს და ამ უკანასკნელის მიერ განიხილება რიგს გარეშე.

სსრკ შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **ბახუტოვი.**

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის

წევრი და შრ. სახ. კ-ტის შრომის ბაზრის განყ. გამგე **გინდინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 1104 №-ში 1926 წ. თებერვლის 16-ს.

დადგენილება № 1167 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. თებერვლის 13.

591. საშენი წითელი აგურის ფასის შესახებ.

აკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად, აკ. სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი 1925 წ. ივლილისის 23-ს თარიღითა და 48 №-რით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს მაქსიმალური უკიდურესი საბითუმო ფასი საშენ წითელ აგურზე ფრანკო-საქართველოს სსრ აგურსანები, როდესაც აგური მიეცემა როგორც კოოპერატიულ ორგანიზიციებს და სახელმწიფო ორგანოებს, ისე კერძო ძირებს: პირველი ხარისხის აგურის 1.000 ცალზე—32 მან.

2. აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხ. დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. სუსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1105 №-ში 1925 წელს თებერვლის 17-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

592. უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად შრომის ბირჟის კომიტეტების მიერ მოსაწყობ საწარმოთა და კოლექტივთა თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შრომის ბირჟის კომიტეტების მიერ მოწყობილ უმუშევართა საწარმოთათვის და შრომითი კოლექტივებისათვის საგადასახადო დაბეგვრისა და სოციალური დაზღვევის სფეროში შეღავათების მინიჭების შესახებ" 1926 წ. იანვრის 8-ს თარიღით გამოცემული („იზვესტია"-ს მე-17 №-რი 1926 წ. იანვრის 21-სა) დადგენილების თანახმად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შეცვლილ იქნეს მუხლი მე-11, „ა" და „ბ"-ნის პუნქტებითურთ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივლისის 13-ს დადგენილებისა—„იმ საწარმოთა და კოლექტივთა შესახებ, რომელთაც მოაწყობს შრომის ბირჟის კომიტეტი უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოსაჩენად" (კან. კრ. 1925 წ. მე-7 №-რი, მუხ. 467) და ეს მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 11. ამა დადგენილების წესისამებრ მოწყობილი საწარმო თუ კოლექტივი, იმ ხნის განმანმავლობაში, რაც იგი შრომის ბირჟის კომიტეტის გამგებლობაში იქნება, გარდა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. იანვრის 8-ს დადგენილებით მინიჭე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული შეღავათებისა, გაუთანასწორდება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო ორგანოებს მიცემული სადგომებისა და კომუნალური მომსახურეობისათვის სასყიდლის გასტუმრების სფეროში".

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. თებერვლის 15. ტფილისის სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1106 №-ში 1926 წ. თებერვლის 18-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

593. სოფლის მოსახლეობის საშრომო საგზაო ბეგარის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალახო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს,—ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო კომისართა საბჭოების გამოუკლელივ,—სამაზრო საბჭოთა ყრილობისა, სადაირო და საუბნო საბჭოთა ყრილობისა და სათემო საბჭოთა განსაკუთრებული შუამდგომლობისამებრ,—დააწესონ ხოლმე დაირისა, უბნისა და თემის ან ცალკე სოფლების მოსახლეობისათვის საშრომო საგზაო ბეგარა სამაზრო, სათემო, საუბნო და სადაირო მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების და საგზაო ნაგებობათა მოწყობისა და წესიერად შენახვისათვის.

შენიშვნა. საშრომო ბეგარის დაწესება მოსახლეობისათვის, ერთი ან რამდენიმე სოფლისა, დაირისა, უბნისა ან თემის ფარგლებში, შეიძლება ხხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ აღძრული საამისო შუამდგომლობა სათანადო სოფლის საბჭოს მიერ და თანაც ისეთი გზებისა და საგზაო ნაგებობის მოწყობა-შენახვისათვის, რასაც სასოფლო მნიშვნელობა აქვს.

2. საშრომო საგზაო ბეგარის მოსახდელად შეიძლება გაწვეულ იქნეს, შემდეგ (3) მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, მთლად შრომის უნარის მქონე მამრობითი სქესის მოსახლეობა, ასაკით 18-წლიდან 50 წლამდე, რომელიც-კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივ დაირისა, უბნისა, თემისა ან სათანადო სოფლის ფარგლებში ცხოვრობს.

3. საშრომო საგზაო ბეგარისაგან აუცილებლად განთავისუფლებულ უნდა იქნეს ყველა ის პირი, რომელიც წითელი არმიისა და ფლოტის ნამდვილ სამსახურში იმყოფება, და აგრეთვე ის, ვინც, შრომის კანონთა კოდექსის მე-14 მუხლის წესისამებრ, განთავისუფლებულია შრომის ბეგარისაგან. დამატებითი გამონაკლისს და შეღავათებს, ჯანმრთელობისა, ოჯახობრივი და სასსახურებრივი მდგომარეობისა, სამუშაოს ხასიათისა, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით, დააწესებს დაირისა, უბნისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტი,

4. პირადი შრომის გარდა, ყველა იმ დაირისა, უბნისა, თემისა თუ სოფლის ესა თუ ის მცხოვრები, სადაც-კი საგზაო ბეგარაა დაწესებული, მოვალეა გადასცეს დაირისა, უბნისა და თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან სოფლის საბჭოს იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე საგზაო ბეგარა (მუხ. 7) იქნება შესრულებული, თავისი მუშა-საქონელი საჭირო ტვირთზიდვის ტრანსპორტით და ინვენტარით, ხოლო არა უმეტეს ორი სული საქონლისა თვითეულ მეურნეობაზე.

5. საგზაო ბეგარავალდებულ პირს შეუძლიან, პირადი შრომით ბეგარის მოხდის ნაცვლად, გაიღოს სათანადო ფულადი გადასახადი.

6. საგზაო ბეგარის სანაცვლო ფულადი გადასახადის ნორმებს განსაზღვრავს დაირისა, უბნისა, თემისა და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი იმის მიხედვით, თუ რა საქირავო ფასები არსებობს იმ ადგილას მუშა-ხელზე და მუშა-საქონელზე, და დაამტკიცებს რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისართა საბჭო.

7. იმ სამუშაო დღეების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიაც მოსახლეობა შეიძლება ეწეოდეს საგზაო ბეგარას (სამუშაო გადანაკვეთი) განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ დაირს, უბანს და თემს რა რესსურსები აქვს და რა საშუალებანი ესაჭიროება დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული საგზაო სამუშაოს შესრულებას, ხოლო იმ პირობით კი, რომ სამუშაო დღეების რიცხვი წლის განმავლობაში 5 დღეს არ აღემატებოდეს საგადანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით.

შენიშვნა. საგზაო სამუშაოს ტეხნიკურ გეგმას და საფინანსო ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ავტონომიურ ოლქში — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, სათანადო რესპუბლიკის გზატკეცილებისა და შარაგზების სამმართველოსთან შეთანხმებით.

8. საგზაო სამუშაოს ტეხნიკური მომზადება და განხორციელება დაეკისრება სამაზრო და აგრეთვე დაირისა, უბნისა და თემის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის მუშაობის რიგს, გადანაკვეთი სამუშაოს რაოდენობას და ცალკე პირების სამუშაო ადგილს. აღნიშნული სამუშაოსათვის საჭირო მასალებისა და ტეხნიკური დახმარების ხარჯი გაიღება რესპუბლიკანური და სამაზრო ბიუჯეტიდან.

9. მოსახლეობის ფაქტიური გამოყენება საგზაო მუშაობისათვის შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც დამთავრებული იქნება საორგანიზაციო და ტეხნიკური სამზადისი (მუხ. 8); ამასთანავე საგზაო ბეგარის მოხდის ვადას დანიშნავს დაირისა, უბნისა, თემისა და მაზრის აღმასრულებელი კონიტეტი სასოფლო-სამეურნეო მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

10. სსოფლო მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობათა მოწყობისა და შენახვისათვის საჭირო მუშაობას ეწევიან საშრომო ბეგარის წესით იმ სოფლის მცხოვრებნი, რომელსაც ეს გზები და ნაგებობანი მეთვისება.

11. საშრომო საგზაო ბეგარა განხორციელდება ნაპრობითი პრინციპზე, ე. ი. თვითეული რაიონის მოსახლეობას დაეკისრება განსაზღვრული რაოდენობის საგზაო სამუშაო და გზის უბნები ამა თუ იმ დასახლებულ ადგილებს მიეწერება.

12. საგზაო მუშაობის წარმოების საჭიროებას, ამ სამუშაოს ოდენობას და საკალენდრო განაწილებას, აგრეთვე გზის უბნების დასახლებულ ადგილებზე გაწერას დაადგენს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, სათანადო რესპუბლიკის გზატკეცილებისა და შარაგზების სამმართველოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა. მუშაობის წარმოების საჭიროებისა და სამუშაოს ოდენობის საკითხის გადაწყვეტის დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მოსახლეობის ფაქტიური შესაძლებლობა ამ მუშაობაში მონაწილეობის მიღებისთვის (რამდენად შეეფერება მოსახლეობის ძალღონე მასზე გასავრცელებელ ბეგარას).

13. უკეთუ საგზაო ბეგარავალდებული ესა თუ ის პირი მისთვის დანიშნულ დროს სამუშაოდ არ გამოცხადდება, მუშაობას მოკდენილი დღეები ფულზე გადაიტანება და ეს ფული გადაჰხდება ამ მაგალასახადების ადახდევინებისათვის დადგენილი საერთო წესისამებრ. ამას გარდა ის პირი, რომელიც დაჟინებით თავს აარიდებს საშრომო საგზაო ბეგარის შესრულებას, მიიცემა პასუხის გებაში ა/კსესრ-ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის თანახმად.

14. მე-5 მუხლით გათვალისწინებული, საგზაო ბეგარის სანაცვლო ფულადი თანხა გადახდევინებულ უნდა იქნეს გადასახადების გადახდევინების დებულების წესისამებრ, საბიუჯეტო წლის ფარგალში, იმ ვადაზე, რასაც დანიშნავს დაირისა, უბნისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტი, მოსახლეობის გაწვევის ვადებთან შეფარდებით.

15. საგზაო ბეგარის სანაცვლოდ შემოსული ფულადი თანხები (მუხ. 14), აგრეთვე ამა დადგენილების მე-13 მუხლის წესისამებრ გადახდევინებული თანხები ჩაირიცხება სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სახსარში და დახარჯულ უნდა იქნეს მარტოოდენ საგზაო სამუშაოსათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსაცემ წესებს შეიმუშავებს და დამტკიცებს სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა/კსფსრ-ში, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. თებერვლის 15. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1107 №-ში 1926 წ. თებერვლის 19-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

594. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა სასარგებლოდ გამოსაღების დაწესების შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მიზანშეწონილად მიაჩნია—ამიერიდან უარი სთქვას სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის მიერ მისთვის 1925 წ. იანვრის 30-ს მინიჭებულ უფლებაზე, რომლითაც მას შეეძლო არ გაევრცელებინა ა/კ. სფსრ ტერიტორიაზე სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. სექტემბრის 12 ს დადგენილება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთავარის საზოგადოებათა სასარგებლოდ საჯარო სანახაობაზე და გასართობზე მოსიარულეთა დაბეგვრის შესაგებ,—და იგი ადგენს:

1925 წ. თებერვლის 28-ს დადგენილების გასაუქმებლად შემოღებულ იქნეს, რომ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა სასარგებლოდ საჯარო სანახაობაზე და გასართობზე მოსიარულეთ გადაჰხდეთ ხოლმე გამოსაღები, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. სექტემბრის 12-ს დადგენილების თანახმად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. თებერვლის 15. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1107 №-ში 1926 წლის თებერვლის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

595. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ამიერკავკასიის სფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ'' გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა|კსფსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ" 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა|კსფსრ კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 327) მე-8 მუხლის შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა|კსფსრ უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული იურიდიულ პირთა წესდებანი, რეგისტრაციის შემდეგ, გამოქვეყნებულ უნდა იქნენ მათის ხარჯით ა|კსფსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულში (მეორე განყოფილება).

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ იურიდიულ პირთა დამფუძნებლები ან ხელმძღვანელი ორგანოები მოვალენი არიან, იურიდიული პირის რეგისტრაციამდე, წარადგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საკანონმდებლო კომისიასთან არსებულ კანონთა გამოქვეყნების განყოფილებაში ოფიციალურად შემოწმებული ახალი წესდებისა და აღნიშნული განყოფილების მიერ გამოქვეყნებისათვის განსაზღვრული სასყიდელი.

3. რეგისტრაციის მმქმნელი ორგანო მოვალეა იურიდიული პირის რეგისტრაციის დროს დარწმუნდეს, რომ ამა დადგენილების მე-2 მუხ. შესრულებულია არა უგვიანეს 7 დღისა და თანაც აცნობოს კანონთა გამოყვეყნების განყოფილებას მომხდარი რეგისტრაცია.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა|კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. თებერვლის 15. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1108 №-ში 1926 წლის თებერვლის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს. ცვლილებანი შეტანილია ა/კ. საბჭოთა მე-3 ყრილობის 1925 წ. აპრილის 14-ს დადგენილების თანახმად.

ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის მდივანი ა. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

596. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შესახებ.

თ ა ვ ი 1.

ზოგადი დებულებანი

1. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობა და გამგებლობის საგნები განისაზღვრება ა/კ. სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციით (12—18 მუხ.).

2. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თვითეული შედგენილობის უფლებამოსილება დაიწყება ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობის (ა/კსფსრ კონსტიტუცია) მიერ მისი არჩევის მომენტიდან და დამთავრდება ახალი შედგენილობის არჩევისას.

3. ა/კ. ცენტ. აღმ. კომიტეტის სხდომები მოხდება სესიებად: მორიგ სესიად და საგანგებო სესიად.

4. ა/კ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მორიგ სესიას მოიწვევს მისი პრეზიდიუმი წელიწადში სამჯერ (ა/კსფსრ კონსტ. 23 მუხ.).

5. ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია მოიწვევა მისი პრეზიდიუმის დადგენილებით, ა/კსფსრ-ში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით ან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა $^1/_3$-ს მოთხოვნით (ა/კსფსრ კონსტიტუციის 23 მუხ.).

6. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი და საგანგებო სხდომის წესრიგს გამოაქვეყნებს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი რუსულ, სომხურ, ქართულ და თურქულ ენებზე ოფიციალურ ორგანოებში, არა უგვიანეს ორი კვირისა სესიის გახსნამდე.

7. უკეთუ დანიშნული იქნება ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია, ამის პუბლიკაცია შეიძლება მოხდეს უმისოდაც, რომ დაცულ იქნეს ამა დებულების მე-6 მუხ. აღნიშნული ვადა.

8. ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მუშაობის შინაგანი წესრიგი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც შემოუშავებს ა/კ. ცენ-

ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და დაამტკიცებს ა/კ. ცენ-ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია.

9. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე მოეწყობა მისი პრეზიდიუმი ა/კსფსრ კონსტიტუციაში გათვალისწინებული შედგენილობით.

10. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტში განსახილველ საკითხებს შეიტანენ: ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ ცალკე სახალხო კომისარიატები, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, და აგრეთვე ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი.

11. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კვორუმისათვის საჭიროა, რომ სხდომას დაესწროს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა $^1/_3$ მაინც.

12. ყველა საკითხი ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე გადასწყდება ახდილი ხმის მიცემით და ხმის მარტივი უმეტესობით. სახელობით ხმის მიცემა მოხდება იმ შემთხვევაში, უკეთუ ამას წერილობით მოითხოვს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 20 წევრი მაინც.

თ ა ვ ი II.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები მოწყობა.

13. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმს 23 წევრის შედგენილობით, მათ შორის 3 თავმჯდომარეს, ერთ მდივანს და 9 კანდიდატს პრეზიდიუმის წევრებისას (ა/კსფსრ კონსტიტუციის 22 მუხ.) და, ა/კსფსრ კონსტიტუციის 25 მუხ. თანახმად, მოაწყობს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—თავმჯდომარისა, ორი მისი მოადგილისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა შედგენილობით.

თ ა ვ ი III.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

14. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის შედგენილობა და გამგებლობის საგნები განისაზღვრება ა/კსფსრ კონსტიტუციით (16 და 27--33 მუხ.).

15. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვალყურს ადევნებს ა/კსფსრ კონსტიტუციის განხორციელებას და, როგორც სსრკ, ისე ა/კსფსრ საბჭოთა ყრილობებისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ყველა დადგენილების აღსრულებას ა/კსფსრ ტერიტორიაზე ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ.

16. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი შეამზადებს ყველა მასალას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის სხდომებისათვის, შეიტანს საკითხებს მის მიერ განსახილველად და ხელმძღვანელობას გაუწევს ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის სხდომებს.

17. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი გამოსცემს დეკრეტებს, დადგენილებებს და განკარგულებებს, განიხილავს და დამტკიცებს დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტებს, რასაც შეიტანენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ ცალკე უწყებანი, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმ. კომიტეტები, მათი პრეზიდიუმები და ხელისუფლების სხვა ორგანოები.

შენიშვნა. ა/კსფსრ-სა და ა/კსფსრ შედგენილობაში შამავალი რესპუბლიკების ცალკე უწყებანი დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტებს შეიტანენ ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში: პირველნი—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით, ხოლო მეორენი—რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახ. კომისართა საბჭოების მეშვეობით.

18. ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და მის პრეზიდიუმს აქვს უფლება წარადგინოს საერთო-საკავშირო კომისრების რწმუნებულთა და მათ მოადგილეთა კანდიდატები, აგრეთვე აქვს უფლება წარადგინოს განცხადება რწმუნებულების უკან გაწვევისა და ჩამოცილების შესახებ.

19. მე-17 მუხლში აღნიშნული დაწესებულებების მიერ შეტანილი საკითხების წარდგენის ქაღალდი ხელმოწერილ უნდა იქნეს თავმჯდომარისა ან იმ ხელმძღვანელის (ან მათი მოადგილის) მიერ, რომლის სახელითაც საკითხი შეიტანება.

20. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს გაუქმოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

21. ყველა დეკრეტი და დადგენილება, რომლითაც განისაზღვრება ა/კსფსრ პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ზოგადი ნორმები, აგრეთვე რომლითაც ა/კსფსრ სახელმწიფო ორგანოების არსებულ პრაქტიკაში შეიტანება ძირითადი ცვლილება, და აგრეთვე ფედერატიულ კანონთა კოდექსები აუცილებლად უნდა წარედგინოს ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამა მუხლით გათვალისწინებული საკითხები შეიძლება გადასწყვიტოს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და შემდგომ შეიტანოს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაში დასამტკიცებლად.

22. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს პროტესტი ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

23. ყველა პროექტი, რაც განსახილველად წარედგინება ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, წარმართულ უნდა იქნეს მისი პრეზიდიუმის მიერ.

24. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტ. აღმ. კომიტეტებისა ან მათი პრეზიდიუმების მიერ შეტანილ საკითხებს განიხილავს ა/კ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვით, უშუალოდ, ან გადასცემს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინასწარი განხილვისათვის, ან და დაინტერესებულ უწყებას—წინასწარი დასკვნისათვის.

25. ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა, და მის პრეზიდიუმს, ა/კსფსრ კონსტიტუციის თანახმად (მუხ. 30), ეკუთვნის ამნისტიის უფლება ა/კსფსრ ტერიტორიაზე, აგრეთვე ა/კსფსრ სასამართლო და ადმინისტრატიული ორგანოების მიერ მსჯავრდადებულ მოქალაქეთა შეწყალებისა და რეაბილიტაციის უფლება.

26. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ამნისტიისა და შეწყალების საკითხების განსახილველად შეტანის წესი განისაზღვრება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით.

27. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკითხების განხილვის დროს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ სათათბირო ხმის უფლებით დაინტერესებულ უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი—კუთვნილებისამებრ,—და აგრეთვე მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ სხვა პირებსაც, ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებისამებრ.

28. ყველა სახელმ. დაწესებულებისა და უწყებისადმი ურთიერთ მიმართვას ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით აწარმოებენ ა/კ. ცენტ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

29. მთლად ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის სამდივნო და ტეხნიკური აპარატი იმყოფება ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის მდივნის გამგებლობასა და ხელმძღვანელობაში.

თ ა ვ ი IV.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარენი.

30. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარენი აირჩევიან ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის მიერ (ა/კსფსრ კონსტიტუციის 22 მუხ. და ამა დებულების მე-13 მუხ.)

31. ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარენი თავიანთ მოვალეობას მორიგეობით შეასრულებენ. ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარეთა მიერ მოვალეობის აღსრულების მორიგეობასა და ვადას დააწესებს ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

უკეთუ ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარის ფუნქციების აღსრულების პერიოდში ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე სხვაგან სამუმგზავრა, მის მოვალეობას შეასრულებს ერთ ერთი ორ დანარჩენ თავმჯდომარეთაგან.

32. ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე მოქმედებს იმ უფლებამოსილობის ფარგალში, რაც მინიჭებული აქვს თავმჯდომარეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, და ამ უკანასკნელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის სახელით მიიღებს განმკარგულებელი ხასიათის საჭირო ღონისძიებას, რასაც უახლოეს სხდომაზე აცნობებს ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმს.

33. ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე თავმჯდომარეობს ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმში.

თ ა ვ ი V.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი.

34. ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის წევრს აქვს საკანონმდებლო ინიციატივისა და შეკითხვის უფლება ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტში.

35. ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის წევრს აქვს უფლება დაესწროს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომას.

36. ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის ყველა წევრს უფლება აქვს თავისუფლად შევიდეს, რიგს გარეშე, ყველა საბჭოთა დაწესებულებაში ა/კსფსრ ტერიტორიაზე თავისი მანდატის წარდგენისთანავე და შეუძლიან ყველა საბჭოთა დაწესებულებაში მიიღოს საჭირო ცნობა. საიდუმლო ცნობა ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის წევრს შეუძლიან მიიღოს მარტოოდენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული უფლებამოსილობით.

37. ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის წევრს აქვს სათათბირო ხმის უფლება ა/კ-სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ყველა სხდომაზე და აგრეთვე საბჭოთა ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებების ყველა სხდომაზე ა/კსფსრ ფარგალში.

შენიშვნა. საიდუმლო სხდომაზე დასწრება შეიძლება მარტოოდენ ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული უფლებამოსილობით.

38. საქმის წარმოება ა/კ. ცენ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრის დანაშაულობისა ან სამსახურებრივი დაუდევრობის შესახებ შეიძლება დაწყებულ იქნეს მარტოოდენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ნებართვით.

შენიშვნა. უკეთუ საკითხი ა/კ. ცენ. აღმ. კომ. წევრის სასამართლოს წესით პასუხისგებაში მიცემის შესახებ იმ შემთხვევაში აღიძრა, როდესაც საგამომძიებლო ორგანო გამოძიებას აწარმოებს ისეთ პირებზე, რომელნიც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი არ არიან, ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის ნებართვის გამოთხოვა საქმის დაწყებისათვის შეიძლება მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც გამორკვეული იქნება აუცილებლობა ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის წევრის პასუხისგებაში მიცემის ბრალდებულის სახით; ამასთანავე ერთად წარდგენილ უნდა იქნეს დაწვრილებითი მოხსენება საქმის გარემოებათა შესახებ.

39. ამიერკავკასიის ცენ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, როგორც მოწმე, სასამართლო და ადმინისტრატიული ხელისუფლების მიერ დასაკითხავად გაიწვევა საერთო წესისამგბრ.

უკეთუ ამიერკავკასიის ცენ. აღმასრულებელი კომიტეტის წევრს არ შეუძლიან გამოცხადდეს, იგი გამოუცხადებლობის მიზეზს შეატყობინებს ვისაც ჯერ

არს და შეუძლიან მოითხოოს, რომ იგი დაკითხულ იქნეს სამსახურის ადგილას ან შინ.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, უკეთუ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ამა თუ იმ მოსაზრებით სცნობს შეუძლებლად ჩვენების მიცემას, იგი მოვალეა შეატყობინოს ეს საგამომძიებლო ხელისუფლებას და ამავე დროს ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმს და ამასთანვე აღნიშნოს თავისი უარის მოტივები.

40. სასამართლო-საგამომძიებლო ხელისუფლების ორგანოს უფლება არა აქვს შეუფარდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრს ის ღონისძიება, რაც მოწმის გამოუცხადებლობისათვის გათვალისწინებულია ა/კ-სფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლით, და მოვალეა მიმართოს ამიერკავკასიის ცენ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საჭირო განკარგულებისათვის.

41. ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის წევრს სასამართლო ან ადმინისტრატიული ორგანო ვერ დააპატიმრებს და ვერ დაიჭერს, ვერ გასჩხრეკავს და ვერ გასინჯავს-დაათვალიერებს, თვინიერ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებისა.

განსაკუთრებულ სასწრაფო შემთხვევაში ასეთი დაპერა შეიძლება მოხდეს ამიერკავ. ცენ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარის თანხმობით, რასაც იგი შემდგომ მოახსენებს ამიერკ. ცენ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უახლოეს სხდომაზე.

42. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი შეიძლება სასამართლოს წესით პასუხისგებაში იქნეს მიცემული ან ადმინისტრატიული წესით დასჯილი მხოლოდ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით. ამ შემთხვევაში იმ საქმის გამოძიების დამთავრებული მასალა, რომლის გამოც ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის წევრი პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული, წინასწარ წარედგინება ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამ საკითხების გადაწყვეტა შეიძლება ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმის უახლოეს სხდომაზე მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც პრეზიდიუმი მოსთხოვს ბრალდებულს პირადად გამოცხადდეს ან შეკითხვაზე წერილობითი ახსნა-განმარტება წარადგინოს.

43. გამოძიებაში ან სამართალში მიცემული ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის წევრის გასამართლებამდე თანამდებობისაგან გადაყენება შეიძლება მარტოოდენ ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

44. ერთი მორიგი ყრილობიდან, რომელზედაც ამიერკავ. ცენ. აღმ. კომიტეტის წევრნი აირჩევიან, მეორე მორიგ ყრილობამდე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმ. კომიტეტის წევრთა შედგენილობიდან წევრის გამორიცხვა შეიძლება ა/კსფსრ საბჭოთა საგანგებო ყრილობის დადგენილებით, ხოლო განსაკუთრებით სასწრაფო შემთხვევაში—ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტის დადგენილებით, რასაც იგი აცნობებს საბჭოთა უახლოეს ყრილობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. ამიერკ. ცენ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და კანდიატი, ა|კ-სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წევრი და ამიერკ. ცენ. აღმ. კომიტეტის ის წევრი და კანდიატი, რომელიც მუდმივ მუშაობს ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის კომისიაში, მიიღებს ჯამაგირს ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტისაგან.

46. ა|კსფსრ კონსტიტუციის თანახმად განსაზღვრული რიცხვით არჩეულ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა კანდიდატებს აქვთ (საკანდიდატო სიაში ჩაწერის რიგის მიხედვით) გადამწყვეტი ხმის უფლება ამიერკ. ცენ. აღმ. კომიტეტის წევრთა სათანადო რიცხვის არყოფნის დროს, ხოლო სხვა შემთხვევაში—სათათბირო ხმის უფლება.

კანდიდატებზე გავრცელდება ამიერკ. ცენ. აღმ. კომიტეტის წევრთა უფლება-მოვალეობანი, რაც დაწესებულია ამა დებულებით.

თ ა ვ ი VI.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიები.

47. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს შეუძლიანთ მოაწყონ კომისიები მიმდინარე კანონმდებლობისა და გამგებლობის საკითხების განსახილველად.

48. ამიერკ. ცენ. აღმ. კომიტეტის კომისიებს თავიანთი აპარატი არა ჰყავთ და გამოიყენებენ ამიერკ. ცენ. აღმ. კომიტეტის აპარატს.

დამტკიცებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესსიის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს. ცვლილებანი შეტანილია ამიერკავკასიის მე-III მოწვეის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესსიის დადგენილების თანახმად.

ა|კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის მდივანი

ა. შავერდოვი.

საერთო დებულება

597. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების შესახებ.

თ ა ვ ი I.

ა|კსფსრ სახალხო კომისარიატების დაარსება.

1. ა|კსფსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) თანახმად, ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობიან სახალხო კომისარიატები, რომელნიც არიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საერთო-ფედერატიული სახალხო კომისარიატი—ერთიანი მთლად ა/კ-სფსრ-თვის;

ბ) ა/კსფსრ გაერთიანებული სახალხო კომისარიატები.

2. ა/კსფსრ საერთო-ფედერატიულ სახალხო კომისარიატად არის—შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

3. ა/კსფსრ გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებად არიან სახალხო კომისარიატები:

შრომისა,

მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და

ფინანსთა.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატები განახორციელებენ ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობისა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს იმ დადგენილებათ, რაც მათი გამგებლობის საგანს შეეხება.

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატები განახორციელებენ აგრეთვე სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საბჭოთა ყრილობისა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმ დადგენილებათ, რაც მათი გამგებლობის საგანს შეეხება.

5. ა/კსფსრ ყველა სახალხო კომისარიატი, მოქმედებს-რა ამა დებულების საფუძველზე, განახორციელებს თავის მიზანს თანახმად განსაკუთრებული დებულებისა მის შესახებ, რასაც დამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, და აგრეთვე თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებისა.

6. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებს დაეკისრებათ:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიონ ყველა მათ ქვემდებარე დაწესებულებას; ზედამხედველობა იქონიონ ამ დაწესებულებების მიერ ა/კსფსრ უმაღლესი ორგანოების კანონებისა და განკარგულების შესრულებისათვის; მიიღონ დადგენილი წესისამებრ სათანადო ღონისძიებანი არაკანონიერ მოქმედების დაუყოვნებლივ თავიდან ასაცილებლად;

ბ) შეიმუშაონ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ა/კსფსრ უმაღლესი ორგანოების დავალებით, აგრეთვე თავისი საკუთარი ინიციატივით, დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები, შეიტანონ ეს პროექტები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში ან უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში—კუთვნილებისამებრ.

გ) გამოსცენ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილებები, განკარგულებები, ინსტრუქციები, ბრძანებები და სხვ.;

დ) შეიმუშაონ სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა და შტატები და შეიტანონ დასამტკიცებლად არსებული წესისამებრ;

ე) გადასწყვიტონ მათი ქვემდებარე დაწესებულებებისა და პირების მოქმედებისა და განკარგულების გამო შეტანილი საჩივრები; წარმართონ ეს საჩივრები კუთვნილებისამებრ, უკეთუ საჩივარი შეეხება ისეთ საგანს, რაც სახალხო კომისარიატის კომპეტენციის ფარგლების გარეშეა.

7. ა|კსფსრ სახალხო კომისარიატის განკარგულება შეუძლიან შეაჩეროს ან გააუქმოს ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, მისმა პრეზიდიუმმა ან ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო კომისარიატის განკარგულება, რაც შემდგომ უნდა მოახსენოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმს—კუთვნილებისამებრ.

8. ა|კსფსრ სახალხო კომისარიატის განკარგულება შეუძლიან შეაჩეროს ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ან მისმა პრეზიდიუმმა, როდესაც ეს განკარგულება აშკარად არ შეესაბამება ა|კსფსრ კონსტიტუციას, ა|კსფსრ კანონმდებლობას ან ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის კანონმდებლობას. განკარგულების შეჩერებას ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი დაუყოვნებლივ აცნობებს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა|კსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატს.

თ ა ვ ი II.

ა/კსფრ საერთო-ფედერატიული სახალხო კომისარიატები.

9. საერთო-ფედერატიული სახალხო კომისარიატები (ამა დებულების მე-2 მუხ.) განაგებენ მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო გამგებლობის იმ დარგს, რაც მათ აქვთ მინდობილი.

10. ა/კსფსრ საერთო ფედერატიულ სახალხო კომისარიატებს ჰყავთ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თავიანთი რწმუნებულნი, რომელნიც უშუალოდ მათ ექვემდებარებიან.

11. სახალხო კომისარიატის რწმუნებულს დაასახელებს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატი უშუალოდ ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით, და დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო. ყველა დასახელებული კანდიდატის შესახებ საჭიროა გამოსთქვას თავისი აზრი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელსაც აქვს დასანიშნი რწმუნებულის ჩამოცილების უფლება.

შენიშვნა. უკეთუ დანიშნულ იქნება საერთო-ფედერატიული სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე, იგი დამტკიცებულ უნდა იქნეს იმავე წესით, როგორც რწმუნებული.

12. საერთო ფედერატიული სახალხო კომისარიატის რწმუნებული შედის ამა თუ იმ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში სათათბირო ან გადამწყვეტი ხმის უფლებით, იმის მიხედვით, თუ როგორ გადასწყვეტს ამას უწყებული რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი. სახალხო კომისარიატის რწმუნებული ინფორმაციას წარუდგენს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს საერთო-ფედერატიული კომისარიატის მოქმედების შესახებ და თავისი მოქმედებისათვის ანგარიშვალდებულია, როგორც აკსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატის წინაშე, ისე აკსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

13. საერთო-ფედერატიული კომისარიატის განკარგულება სავალდებულოა უშუალო შესრულებისათვის მთლად აკსფსრ ტერიტორიაზე და, ვით ზოგადი დებულება, განხორციელებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფი სათანადო რწმუნებულის მეშვეობით. უკეთუ საერთო-ფედერატიული სახალხო კომისარიატი უშუალო განკარგულებას გასცემს თვით ადგილობრივი ორგანოების მიმართ,—სავალდებულოა, რომ ეს ეცნობოს სათანადო სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, რომელიც ამა თუ იმ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება.

შენიშვნა. უკეთუ საერთო-ფედერატიული სახალხო კომისარიატის რწმუნებული მიიღებს ისეთ განკარგულებას, რაც აკსფსრ-სა ან უწყებული რესპუკლიკის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, იგი მოვალეა ამის შესახებ დაუყონებლივ მოხსენება წარუდგინოს აკსფსრ სათანადო სახალხო კომისარს და, ამასთან ერთად, მოახსენოს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

14. აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილება, რაც მათი კომპეტენციის ფარგალში შედის და არ ეწინააღმდეგება საერთო-ფედერატიულ კანონმდებლობას, სავალდებულოა აკსფსრ საერთო სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის.

თ ა ვ ი III.

აკსფსრ გაერთიანებული სახალხო კომისარიატები.

15. გაერთიანებული სახალხო კომისარიატების ორგანოებად, რომელნიც აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე განახორციელებენ ხსენებული კომისარიატების დავალებათ, არიან ამა კომისარიატების თანამოსახელე სახალხო კომისარიატები აღნიშნულ რესპუბლიკებში.

თანამოსახლე სახალხო კომისარიატი ცალკე რესპუბლიკისა, ექვემდებარებარა სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს, განახორცილებს თავის მოქმედებაში აკსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატის დირექტივებსა და დავალებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. აკსფსრ გაერთიანებული სახალხო კომისარიატი თავის დირექტივებს და დავალებას განახორციელებს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის თანამოსახლე სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

17. ცალკე რესპუბლიკის იმ სახალხო კომისარიატის სათავეში, რომელიც აკსფსრ გაერთიანებული სახალხო კომისარიატის თანამოსახელეა, სდგას სახალხო კომისარი, რომელსაც დანიშნავს და უკანვე გაიწვევს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

18. იმ ფუნქციების გარდა, რასაც გაერთიანებული სახალხო კომისარიატი, ამა დებულების მე 4 მუხ. თანახმად, ასრულებს, იგი:

ა) აძლევს დირექტივებს და დავალებას აკსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის თანამოსახელე კომისარიატს და თვალყურს ადევნებს ამ დირექტივებისა და დავალების შესრულებას.

ბ) შეაჩერებს და გააუქმებს ცალკე რესპუბლიკის თანამოსახლე კომისარიატის დადგენილებებს, რაც მის მიერ მიცემულ დირექტივებსა ან საერთო ფედერატიულ კანონდებლობას ეწინააღმდეგება; ამასთანავე ერთად იგი ამის შესახებ სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს აცნობებს.

შენიშვნა. უფლება ესე არ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის განკარგულება დამყარებულია ამა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პირდაპირ მიწერილობაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აკსფსრ სათანადო სახალხო კომისარი შეიტანს აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში პროტესტს.

გ) დააწესებს ცალკე რესპუბლიკის თანამოსახელე კომისარიატისათვის ანგარიშების წესსა და ფორმას.

დ) შეთანახმებს დადგენილი წესისამებრ თანამოსახელე სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მოწყობის საფუძველს;

ე) შეიმუშავებს სამეურნეო მოქმედების გეგმას თავის ქვემდებარე ორგანოებისათვის (ცალკე რესპუბლიკაში), რომელნიც შეასრულებენ აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დავალებათ;

ვ) განაგებს დადგენილი წესისამებრ უწყებულ სახალხო კომისარიატთან არსებულ საერთო-ფედერატიულ ფონდებს.

თ ა ვ ი IV.

აკსფსრ სახალხო კომისრები

19 აკსფსრ თვითეული სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი, რომელსაც აარჩევს და უკან გაიწვევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და რომელსაც ეკუთვნის აკსფსრ სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა და გამგებლობა, აგრეთვე კონტროლის და ზედამხედველობის გაწევა სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთათვის.

20. სახალხო კომისარს შეუძლიან ერთპიროვანად მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხის გამო, რაც სახალხო კომისარიატის გამგებლობას შეადგენს, ხოლო ეს კოლეგიას უნდა აცნობოს ხოლმე.

კერძოდ, სახალხო კომისარს ეკუთვნის ერთპიროვნობითი უფლება:

ა) განსაზღვროს იმ საქმეთა წრე, რაც შეადგენს მისი მოადგილისა და კოლეგიის წევრების გამგებლობის საგანს;

ბ) დაინიშნოს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოოს, არსებული დებულების თანახმად, სახალხო კომისარიატის პირადი შედგენილობა;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთა მოქმედებას;

დ) განაგოს ა|კსფსრ სახალხო კომისარიატის კრედიტები და დაამტკიცოს ხარჯთაღრიცხვის პროექტები, რისთვისაც უნდა დაიცვას დადგენილი წესები;

ე) შეიტანოს პროტესტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ა|კსფსრ სახალო კომისართა საბჭოს და ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებათა გამო, და აგრეთვე შეიტანოს პროტესტი ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში ცალკე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებათა გამო; ხოლო, ამასთანავე, პროტესტის შეტანა ვერ შეაჩერებს დადგენილებათა აღსრულებას.

21. სახალხო კომისარიატის სახელით გამოცემულ ყველა დადგენილებას, ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენილ ყველა ქაღალდს და აგრეთვე ყველა მმართველს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებისადმი ხელს მოაწერს სახალხო კომისარი.

22. ა|კსფსრ სახალხო კომისარი პასუხისმგებელია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და ა|კსფრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

თ ა ვ ი V.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა მოადგილენი.

23. სახალხო კომისრის მოადგილე უახლოესი თანაშემწეა სახალხო კომისრისა სახალხო კომისარიატის გამგებლობის საქმეში.

24. სახალხო კომისრის სადმე წასვლისა ან ავადმყოფობის გამო მის მოვალეობას შეასრულებს მოადგილე.

25. სახალხო კომისრის მოადგილე სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაში მონაწილეობას სათთბირო ხმის უფლებით მიიღებს; ხოლო სახალხო კომისრის არყოფნის დროს—მოადგილე სხდომაში მონაწილეობას გადამწყვეტი ხმის უფლებით მიიღებს.

თ ა ვ ი VI.

ა|კსფსრ სახალხო კომისართან არსებული კოლეგია.

26. ყოველ სახალხო კომისართან, მისივე თავმჯდომარეობით, მოეწყობა კოლეგია, რომლის წევრებსაც დანიშნავს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო. კოლეგიის წევრთა რიცხვს თვითეული სახალხო კომისარიატისათვის განსაზღვრავს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

27 უკეთუ კოლეგია თანახმა არ იქნება სახალხო კომისრის მიერ მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა, კოლეგიას შეუძლიან განასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სახალხო კომისართა საბჭოში, ისე-კი, რომ გადაწყვეტილების აღსრულება არ შეაჩეროს. ასეთივე უფლება ეკუთვნის კოლეგიის თვითეულ წევრს.

დამტკიცებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. სექტემბერის 4-ს.

ა/კ. ცენ. აღმასრ. კომ.
მდივანი ა. შავერდოვი.

დეგულეგა

598. ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ.

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოაწყობს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და იგი არის ამ კომიტეტის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეადგენენ:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი;

გ) სახალხო კომისრები: ფინანსთა, შინა-ვაჭრობისა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე; აგრეთვე, სათათბირო თუ გადამწყვეტი ხმის უფლებით, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისამებრ, სსრკ გარეშე საქმეთა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა, საგარეო ვაჭრობისა, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისართა რწმუნებულნი (ა/კსფსრ კონსტიტუცია).

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში მონაწილეობას მიიღებს სათათბირო ხმის უფლებით ამიერკავკასიის სტატისტიკური სამმართველოს გამგე; აგრეთვე გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეთ და, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისამებრ, სხვა პირთაც სათათბირო ხმის უფლებით.

3. სახალხო კომისართა საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს საერთო ფედერატიული და გაერთიანებული კომისარიატების მოქმედებას და აგრეთვე საერთო-საკავშირო კომისარიატების რწმუნებულების მოქმედებას იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სსრკ კონსტიტუციით და მათ შესახებ გამოცემული დებულებებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს ფედერატიული მნიშვნელობის დეკრეტები და დადგენილებები იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ა|კსფსრ კონსტიტუციითა და ა|კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის შესახებ გამოცემული დებულებით; აგრეთვე განიხილოს და განახორციელოს სხვა ღონისძიებანი ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის საერთო გამგებლობის სფეროში;

გ) განიხილოს წინასწარ იმ დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები, რაც, ა|კსფსრ კონსტიტუციის თანახმად, შეიტანება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და მის პრეზიდიუმში დასამტკიცებლად;

დ) განიხილოს ის საკითხები, რასაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი საჭიროდ დაინახავენ გადასცენ ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

ე) განიხილოს და შეიტანოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დასამტკიცებლად ა|კსფსრ ბიუჯეტი და აგრეთვე განიხილოს საერთო-საკავშირო კომისრების რწმუნებულების შემოსავალ-გასავალის აღრიცხვები, რაც ამა თუ იმ რწმუნებულის მიერ წარედგინება ხოლმე სსრკ სათანადო სახალხო კომისარს;

ვ) განიხილოს და შეიტანოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ან მის პრეზიდიუმში დასამტკიცებლად ახალი გადასახადების შემოღებისა ან არსებული გადასახადების გადიდების შესახებ გამოსაცემი დადგენილებების პროექტები (ა|კსფსრ კონსტ. I თავ. 1 მუხ. ლიტ. „ე“);

ზ) განიხილოს ანგარიშები საერთო ფედერატიული და გაერთიანებული კომისარიატებისა და აგრეთვე საერთო-საკავშირო კომისრების რწმუნებულთა მოქმედების შესახებ;

თ) გადასწყვიტოს შეუთანხმებლობა ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა შორის იმ საკითხების გამო, რაც ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს კომპენტეტციას შეადგენს, აგრეთვე შეუთანხმებლობა როგორც ა|კსფსრ კომისარიატებ შორის, ისე ამ უკანასკნელთა და ა|კ|ფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებ შორის;

ი) განიხილოს პროტესტები და საჩივრები ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და ა|კსფს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, ადმინისტრატიულ-განმკარგულებელი ფუნქციების მქონე, კომისიების დადგენილების გამო, და აგრეთვე საერთო-ფედერატიული და გაერთიანებული სახალხო კომისრების მოქმედებისა და საერთო-საკავშირო სახალხო კომისრების რწმუნებულთა მოქმედების გამო;

კ) დაამტკიცოს საერთო-ფედერატიული და გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და სხვა ქვემდებარე დაწესებულებების შტატები;

ლ) წარუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს წინადადება სახალხო კომისრების მოადგილეთა დანიშვნის შესახებ და დაამტკიცოს ა|კსფსრ სახალხო კომისრების კოლეგიებისა და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წევრები, სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, საკონცესიო კომისისა და საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარე-

ები და წევრები, ამიერკავკასის საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრები, ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტკური სამმართველოს გამგე და სხვა თანამდებობის პირნი, ა|კსფსრ კანონმდებლობის თანახმად.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიმის გარდა, ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად საკითხების შეტანის უფლება აქვთ:

ა) ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და ა/სსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წევრებს;

ბ) ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს;

გ) ა|კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, მათ პრეზიდიუმებს და სახალხო კომისართა საბჭოებს;

დ) სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საკონცესიო კომისიას, ამიერკავკასიის საგაგანგებო კომისიას, ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიას და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხვა მუდმივ კომისიებს;

ე) იმ პირთ, რომელთაც, ამა დებულების მე-2 მუხ. შენიშვნისამებრ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლება აქვთ.

5. ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში შესატან ყველა წინადადებას ხელს მოაწერს ა|კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარე, სახალხო კომისარი ან ამა დებულების მე-4 მუხ. ჩამოთვლილი უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელი. აღნიშნულ თანამდებობის პირთა ავადმყოფობისა ან არ ყოფნის გამო საკითხები შეიტანება მათი მოადგილეების მიერ.

6. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც.

7. ყველა თავის დადგენილებას და გადაწყვეტილებას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აცნობებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომატეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს სამის დღისა ამ დადგენილებისა თუ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

8. ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყოველ წევრს შეუძლიან პროტესტი შეიტანოს საბჭოს ყველა დადგენილებაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში. პროტესტი ვერ შეაჩერებს დადგენილების შესრულებას.

9. ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს საქმეთა მმართველობა, რომლის მოქმედებაც განსაკუთრებული დებულებით განისაზღვრება.

10. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში გადასაწყვეტად შესატანი საკითხების მომზადებისა და განხილვის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული განაწესით, რომელსაც დაამტკიცებს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

11. ურთიერთ მიმართვას ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და უწყებასთან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით აწარმოებს მისი თავმჯდომარე ან ამ უკანასკნელის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს. ცვლილებანი შეტანილია ა/კ. ცენ. აღმ კ-ტის პრეზიდიუმის 1925 წ. თებერვლის 2-ს დადგენილების თანახმად.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის
მდივანი ა. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

599. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შესახებ.

თ ა ვ ი I.

ზოგადი დებულებანი.

1. სსრკ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 54 და 67 მუხლისა, სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-15 მუხლისა და ა/კსფსრ კონსტიტუციის 35 მუხ. თანახმად, მოეწყობა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიტი.

2. ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) განახორციელოს ა/კსფსრ საბჭოთა ყრილობებისა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა, სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ის დადგენილებანი, რაც ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამგებლობის ფარგალს ეკუთვნის;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს, სსრკ და ა/კსფრ კანონმდებლობისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე, ა/კსფსრ საფინანსო დაწესებულებათა მოქმედებას;

გ) კავშირის საკანონმდებლო დაწესებულებათა მიერ დადგენილი წესისამებრ: შეადგინოს ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტი; წარუდგინოს იგი, საახლხო კომისართა საბჭოს მეშვეობით, ა/კსფსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად და შემდგომ წარმართოს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატში საერთო-საკავშირო ბიუჯეტში შესატანად; მოიყვანოს აღსრულებაში დამტკიცებული ბიუჯეტი კავშირის საკანონმდებლო დაწესებულებათა მიერ დადგენილი საბიუჯეტო გეგმების ფარგლებში; გაუწიოს შემდგომი კონტროლი ბიუჯეტის აღსრულებას და შეადგინოს ანგარიში ბიუჯეტის აღსრულების შესახებ, რაც შემდგომ უნდა წარუდგინოს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატს;

დ) გაუწიოს ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ადგილობრივ საფინანსო ორგანოების მოქმედებას ადგილობრივი ფინანსების სფეროში და იქონიოს კონტროლი, რათა ადგილობრივი ბიუჯეტები აღსრულებულ იქნეს განსაკუთრებული დებულებით განსაზღვრულ ფარგლებში;

ე) შეასრულოს საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალებანი საერთო-საკავშირო გადასახადთა და არასაგადასახადო შემოსავლის სფეროში;

ვ) განახორციელოს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები;

ზ) აღნუსხოს ა/კსფსრ სახელმწიფო და შერეულ სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო საწარმოებში მოთავსებული სახელმწიფო კაპიტალები; აღნუსხოს ა/კსფსრ სახელმწიფო ქონება და მიიღოს ამ ქონების შემოსავალი და მოგება; ზედამხედველობა იქონიოს საჯარო ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა ანგარიშგებისათვის და მონაწილეობა მიიღოს ა/კსფსრ სახელმწიფოს საწარმოთა და დაწესებულებათა საფინანსო გეგმების შემუშავებასა და განხილვაში და აგრეთვე, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალებით, საერთო-საკავშირო და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმ სახელმწიფო საწარმოთა საფინანსო გეგმების შემუშავებასა და განხილვაში, რომელნიც მოქმედებენ და რომელთაც გამგეობა ჰყავთ ა/კსფსრ ტერიტორიაზე; გამოარკვიოს და აღნუსხოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე ქონებული სახელმწიფო ფონდები და ზედამხედველობა გაუწიოს მათ რეალიზაციას;

თ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საკრედიტო დაწესებულებას და კონტროლი იქონიოს მათი მოქმედებისათვის.

შენიშვნა. სახელმწიფო ბანკის საოლქო კონტორისა, ამ ბანკის განყოფილებათა და სხვა, საერთო-საკავშირო მასშტაბით მომქმედ, საკრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელობა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მიეკუთვნება სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე.

ი) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სასინჯო სამმართველობის მოქმედებას;

კ) თვალყური ადევნოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ სახელმწიფო შემნახველი შრომის კასსებს, ამ კასსების შესახებ გამოცემული დებულებით განსაზღვრულ ფარგალში;

ლ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოქმედებას;

მ) მოაწყოს ა/კსფსრ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი საფინანსო ორგანოები სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე.

3. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად მას ნება ეძლევა:

ა) გამოსცეს ხოლმე მისი კომპეტენციის ფარგლებში განკარგულება, დადგენილება, დებულება, ინსტრუქცია, ბრძანება და ცირკულიარი საერთო-საკავშირო კანონმდებლობისა, ა/კსფსრ კანონმდებლობისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე, აგრეთვე გამოსცეს ხოლმე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის სავალდებულო ა/კსფსრ ტერიტორიაზე დადგენილება იმ საფუძველსა და იმ ფარგალში, რაც აღნიშნულია დებულებაში ან რაც დაწესებულია განსაკუთრებული კანონით.

შენიშვნა. ყველა აღნიშნული განკარგულების ასლი, გამოცემისთანავე, დაუყოვნებლივ წარედგინება სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეიმუშაოს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები საფინანსო სფეროში, წარუდგინოს ეს პროექტები, სათანადო შემთხვევაში, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინასწარი შეთანხმებისათვის და შეიტანოს დასამტკიცებლად ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოში ან უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში—კუთვნილებისამებრ;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს ა/კსფსრ ყველა ქვემდებარე საფინანსო დაწესებულების მოქმედებას კავშირის უმაღლესი ორგანოების კანონებისა და განკარგულებების შესრულების სფეროში ა/კსფსრ ტერიტორიაზე; მიიღოს დადგენილი წესისამებრ სათანადო ღონისძიება, რათა დაუყოვნებლივ თავიდან აცილებულ იქნეს ქვემდებარე საფინანსო ორგანოში ესა თუ ის არასწორი მოქმედება;

დ) იქონიოს, კანონით მინიჭებულ უფლებათა განხორციელების წესისამებრ, ფაქტიური რევიზიის მოხდენის საშუალებით, ზედამხედველობა ყველა დაწესებულებისა, საწარმოს და პირის მიერ საფინანსო კანონმდებლობისა და საუწყებო განკარგულების შესრულებისათვის და მიიღოს სათანადო სასამართლოს და ადმინისტრატიული ხასიათის ღონისძიება, რაც ჯეროვანად ხელს შეუწყობს სახალხო დოვლათის ინტერესების დაცვას;

ე) გადასწყვიტოს საჩივრები მის ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთა მოქმედებისა და განკარგულების გამო და წარმართოს აღნიშნული საჩივრები კუთვნილებისამებრ, სათანადო შემთხვევაში—თავის დასკვნითურთ;

4. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ექვემდებარება-რა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და, იმყოფება-რა სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ (სსრკ ფინ. სახ. კ-ტის დებულების მე-2 მუხ. „ა“ პ.), განახორციელებს საფინანსო მუშაობას ა/კსფსრ ტერიტორიაზე საერთო-საკავშირო კანონმდებლობისა, ა/კსფსრ კანონმდებლობისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე; ამასთანავე იგი საერთო საკავშირო საკითხების სფეროში შეასრულებს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალებას, ხოლო ფედერატიული (ა/კსფსრ), რესპუბლიკანური (ავტონომიური, სომხეთი და საქართველო) და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში განახორციელებს თავისი მოქმედებით სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივებს.

შენიშვნა. უკეთუ სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივი და დადგენილება აშკარად არ შეესაბამება სსრკ კონსტიტუციას, სსრკ კანონმდებლობას ან ა/კსფსრ კანონმდებლობას, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, თუმცა ვერ შეაჩერებს აღნიშნულ დირექტივისა და დადგენილების შესრულებას, მაგრამ წარუდგენს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით, ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს წინადადებას ამ დირექტივისა და დადგენილების შეჩერების შესახებ და დაუცდის კომიტეტის განკარგულებას.

5. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული დადგენილება, განკარგულება და ინსტრუქცია შეიძლება შეჩერებულ და გაუქმებულ იქნეს როგორც ა/კსფსრ მთავრობის უმაღლესი ორგანოების მიერ, დადგენილი წესისამებრ, ისე სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ; ხოლო ამ უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელის მიერ—მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ აღნიშნული განკარგულება ეწინააღმდეგება საერთო-საკავშირო კანონმდებლობას და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივებს. ს.ს.რ. ფინ. სახ. კ-ტის მიერ განკარგულების შეჩერებისა ან გაუქმების შესახებ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი დაუყოვნებლივ აცნობებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

შენიშვნა. სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის უფლება—ა/კსფსრ ფინანსთა სიხალხო კომისარიატის განკარგულების შეჩერებისა არ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, უკეთუ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულება დამყარებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს აშკარა მიწერილობაზე; ამ უკანასკნელ შემთხვევაში სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატი პროტესტს წარუდგენს კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს.

6. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებად ითვლებიან—თანადობით:

ა) ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველები აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებში;

ბ) ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა რწმუნებულნი ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში;

გ) სამაზრო საფინანსო განყოფილებანი და მათი ქვემდებარე საუბნო და სარაიონო (სავოლოსტო) საფინანსო განყოფილებანი და

დ) მიწერილი საშემოსავლო-საგასაღლო სალაროები.

7. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს აქვს უშუალო ურთიერთი მიმართვა ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან, ხოლო ამ უკანასკნელთა რწმუნებულებთან ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში და ოლქებში, სამაზრო საფინანსო განყოფილებებთან და სხვა საფინანსო ორგანოებთან—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა მეშვეობით, გარდა განსაკუთრებულად დაწესებული გამონაკლისისა.

თ ა ვ ი II.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სტრუქტურა.

8. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შედგენილობაში შედიან:

ა) ფინანსთა სახალხო კომისარი, მისი მოადგილე და ფინანსთა სახალხო კომისართან არსებული კოლეგია;

ბ) საერთო სამმართველო;

გ) საბიუჯეტო სამმართველო;

დ) სავალიუტო სამმართველო;

ე) სახელმწიფო გადასახადების სამმართველო;

ვ) სახელმწიფო შემოსავლის სამმართველო;

ზ) ადგილობრივი ფინანსების სამმართველო;

თ) საფინანსო-საკანტროლო სამმართველო;

ი) საფინანსო-ეკონომიური ბიურო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისართან არიან:

ა/კ. სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა და დაზღვევის საბჭო, ა/კსფსრ სახელმწიფო შემნახველი შრომის სალაროების სამმართველო და საბიუჯეტო კომისია, რომელნიც მოქმედებენ განსაკუთრებულ დებულებათა საფუძველზე.

9. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას ფინანსთა სახალხო კომისარი.

10. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისართან არიან მისი მოადგილე და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგია.

11. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრისა, მისი მოადგილისა და კოლეგიის წევრთა უფლება-მოვალეობა განისაზღვრება სსრკ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 68 მუხლით, სსრკ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით (სსრკ ცენ. აღმ. კომ. მე-III სესიის დადგენილების მე-19 და 27 მუხ.) და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით.

12. სამმართველოთა სათავეში სდგანან ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მიერ დანიშნული უფროსნი.

13. სამმართველოთა უფროსნი ხელმძღვანელობას უწევენ მათთვის ჩაბარებულ სამმართველოთ და თავიანთი მოქმედებისათვის პასუხისმგებელნი არიან ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის წინაშე.

14. სამმართველოს უფროსიის ძირითად მოვალეობას შეადგენს:

ა) უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს საფინანსო მუშაობის იმ დარგს, რაც მის სამეთაურო სამმართველოს კომპენტენციაში შედის;

ბ) ზედამხედველობა იქონიოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების დირექტივებისა და განკარგულებისა, ფინანსთა სახალხო კომისრისა და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის დირექტივებისა, განკარგულებისა და დავალების აღსრულებისათვის მისთვის ჩაბარებულ საფინანსო დარგში;

გ) შეარჩიოს მისთვის ჩაბარებულ სამმართველოსათვის თანამშრომელნი და, ასრებული წესების თანახმად, მოახდინოს მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა და დათხოვნა.

დ) შეადგინოს სახალხო კომისრისათვის და ა/კ. ფინ. სახ. კომ. კოლეგიისათვის პერიოდული ანგარიშები და მოხსენებანი სამმართველოს საქმეთა მდგომარეობის შესახებ და წარუდგინოს ხოლმე სახალხო კომისარს ან ა/კ. ფინ. სახ. კომ. კოლეგიას დასადასტურებლად სხვადასხვა ღონისძიება, რაც საჭირო იქნება საქმის წარმატებით წარმართვისათვის.

სამმართველოების უფროსთა მოადგილენი.

15. სამმართველოების უფროსთა მოადგილეებს დანიშნავს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი სათანადო უფროსის წარდგენით.

16. მოადგილეს დაეკისრება უახლოესი მონაწილეობა მიიიღოს სამმართველოს უფროსის მუშაობაში ამ უკანასკნელის დირექტივებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. სამმართველოს უფროსის ავადმყოფობისა ან არყოფნის გამო მოადგილე შეუდგება სამმართველოს უფროსის მოვალეობის შესრულებას ყველა იმ უფლება-მოვალეობით, რაც აქედან გამომდინარეობს.

თ ა ვ ი III.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური ორგანოების გამგებლობის საგნები.

18. **საერთო სამმართველო** განაგებს: ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისრის განკარგულებისამებრ და საერთო-საკავშირო და ა/კსფსრ კანონმდებლობის საფუძველზე, კანონმდებლობათა პროექტების შემუშავების საქმეს ადმინისტრატიულ ფინანსიური გამგებლობის სფეროში; ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საერთო მიწერ-მოწერას, რაც სხვა სამმართველოების კომპეტენციას არ შეეხება; ა/კსფსრ ფინანსთა სახ. კომისარიატის როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების მოწყობის საქმეს; ყველა ქვემდებარე საფინანსო ორგანოს აღნუსხვისა და მათი ადმინისტრატიულ-მეურნეობრივი მოქმედებისათვის თვალყურის დევნების საქმეს, თანაც ამ სფეროში რევიზიის მოხდენითა და ინსპექტორობისა და ინსტრუქტორობის გაწევით; ადგილობრივ საფინანსო ორგანოებთან კავშირის დამყარების საქმეს; სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდების საქმეს საორგანიზაციო-საადმინისტრაციო დარგში და მთლად ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ; ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებში დასამტკიცებლად შესატანი საერთო ხასიათის კანონ-პროექტების გამო დასკვნების მომზადების საქმეს; ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სასამართლო საქმეთა წარმოებას; ა/კსფსრ საფინანსო ორგანოების პირადი შედგენილობის აღნუსხვის საქმეს; ა/სფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური დაწესებულებების მომუშავეთა დანიშვნისა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისა და დათხოვნის საქმეს, აგრეთვე ადგილობრივ მომუშავეთა შორის ისეთი მომუშავეებისა, რომელთა თანამდებობაზე დანიშვნა ან დამტკიცება მიკუთვნებული აქვს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარს; საფინანსო საქმისათვის მომუშავეთა მომზადებას; ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის პროექტის შედგენის საქმეს; ამ ხარჯთაღრიცხვის გატარების საქმეს სათანადო შემმოწმებელ და დამტკიცებელ ინსტანციებში; ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საჭიროებისათვის დამატებითი და ხარჯთაღრიცხვის ზედმეტი ასიგნების გამოთხოვის საქმეს; ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომ. ხარჯთაღრიცხვის საგასაღო ნაწილის შესრულებისა და საამნაწილო ანგარიშგების შედგენის საქმეს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მოცემული ფორმების თანახმად; ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ფულადი და მატერიალური კმაყოფის საქმეს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის არქივს.

19. სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი (სათანადო შემთხვევაში—მისი მოადგილე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო სამმართველოს შედგენილობაში შედის ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და ა|კსფსრ სახ. კომ. საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების თანახმად მომქმედი:

1. სახ. კომისრისა და ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის სეკრეტარიატი;

2. საერთო კანცელარია;

3. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება;

4. საფინანსო-სამეურნეო განყოფილება;

5. არქივი.

საერთო სამმართველოსთან ირიცხება:

ა) საიურისკონსულტო ნაწილი და

ბ) თარჯიმანთა ბიურო.

20. ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის **საბიუჯეტო სამმართველოს** და ეკისრება: ხელმძღვანელობა გაუწიოს ა|კსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო საქმეს; აგრეთვე თვალყური ადევნოს სახელმწიფო ბიუჯეტის კასსობრივ შესრულებას სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებისა და დირექტივების საფუძველზე.

21. აღნიშნული ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა განხორციელდება მით, რომ:

ა) წინასწარ შეიმუშავებს სხვა-და-სხვა მოსაზრებას ა|კსფსრ საერთო სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო წესების შესახებ და წარმართავს ამ მოსაზრებებს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატში შესათანხმებლად;

ბ) შეიმუშავებს საკანონმდებლო მოსაზრებებს ა|კსფსრ სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო მუშაობის შესახებ საერთო-საკავშირო კანონმდებლობისა, ა|კსფსრ კანონმდებლობისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარატის დირექტივების საფუძველზე;

გ) ინსტრუქტორობას და მეთვალყურეობას გაუწევს ა|კსფსრ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო საკითხებში, ხოლო საფინანსო ორგანოებს—საკასსო-საოპერაციო საკითხებში;

დ) თვალყურს ადევნებს ა|კსფსრ გაერთიანებულ (ფედერატიულ) და არა გაერთიანებულ (რესპუბლიკანურ) უწყებათა მიერ საფინანსო ხარჯთაღრიცხვების შედგენას;

ე) განიხილავს და შეამოწმებს უწყებათა მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვებს და შეამზადებს საბიუჯეტო კომისიისათვის მოსახსენებლად;

ვ) მოაწყობს მუშაობას საბიუჯეტო კომისიის მიერ ა|კსფსრ და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უწყებათა ხარჯთაღრიცხვების განხილვისათვის;

ზ) შეადგენს ა|კსფსრ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხას და წარუდგენს განსახილველად და დასამტკიცებლად ა|კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებს განმარტებითი მოხსენებით;

თ) წარადგენს ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოების მიერ დამტკიცებულ შემოსავალ-გასავლის ნუსხებს სსრკ სათანადო ორგანოებში;

ი) შეიმუშავებს და შეადგენს საბიუჯეტო და საკასსო გეგმების იმ ნაწილს, რაც ა/კსფსრ შეეხება და წარუდგენს სსრკ ფინანსათა სახალხო კომისარიატს;

კ) განაასიგნვებს ა/კსფსრ ადგილობრივ საფინანსო ორგანოებზე კრედიტებს ა/კსფრ გაერთიანებულ (ფედერატიულ) და არაგაერთიანებულ (რესპუბლიკანურ) უწყებათა ხარჯების მიხედვით და გადაანაცვლებს კრედიტებს დადგენილი წესისამებრ;

ლ) შეადგენს დასკვნებს ა/კსფსრ გაერთიანებულ და არაგაერთიანებულ უწყებათა მიერ აღძრულ საკითხების გამო, რაც დაკავშირებული იქნება სახელმწიფო სახსარიდან ხარჯვების წარმოებასთან;

მ) შეადგენს წინასწარ ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების გამო სამაზრო საფინანსო ორგანოთა ცნობების მიხედვით;

ნ) ხელმძღვანელობას გაუწევს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებს ამ სალაროების შესახებ არსებული დებულების თანახმად;

ო) წარუდგენს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასკვნებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი საერთო საკავშირო უწყებათა ორგანოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების პროექტების გამო;

პ) განაასიგნვებს ა/კსფსრ საფინანსო ორგანოებზე კრედიტებს საერთო-საკავშირო ფონდებიდან და, კავშირის ფინანთა სახალხო კომისარიატის დავალებით,—საერთო საკავშირო უწყებათა ორგანოებზე, რომელნიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოქმედებენ;

ჟ) გაანაწილებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებ შორის საბრუნავ ფულად სახსარს.

22. საბიუჯეტო სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი (სათანადო შემთხვევაში—მისი მოადგილე.

საბიუჯეტო სამმართველოს შედგენილობაში შედის ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად მომქმედი:

1. კანცელარია.
2. საბიუჯეტო-საინსტრუქტორო განყოფილება.
3. საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება.
4. საანგარიშო-საკასსო განყოფილება.
5. ცენტრალური შემოსავალ გასავლის სალარო.

23. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური შემოსავალ-გასავლის სალარო არის ა/კსფსრ-ში ცენტრალური ორგანო, რომელიც მიიღებს, აღნუსხავს შეინახავს და დახარჯავს ყველა სახელმწიფო ფულად სახსარსა და ყოველგვარ ფასეულობას, რაც მასში შევა უშუალოდ ან სპეციალურ ამკრეფთა სალაროებისა და საშუამავლო დაწესებულებების მეშვეობით.

24. ა/სფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის **საგადასახადო სამმართველოს** დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს დადგენილების პროექტები საგადასახადო საკითხების შესახებ; წარუდგინოს ა/კსფსრ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს დასკვნები სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადო ხასიათის კანონპროექტების გამო; შეიმუშაოს იმ ცვლილებათა პროექტები, რაც, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეტანილ უნდა იქნეს საერთო საკავშირო დეკრეტებსა და დადგენილებებში;

ბ) მოაწყოს ადგილობრივი საგადასახადო აპარატი და მოაწესრიგოს მისი პირადი შედგენილობა, საერთო სამმართველოსთან შეთანხმებით;

გ) გაუწიოს ინსტრუქტორობა დ გაუკეთოს რევიზია ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებს;

დ) მოაწყოს გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინების საქმე;

ე) მოაწყოს გადასახადებისა და გამოსაღების საქმეში აღნუსხვა, მასალის სტატისტიკური დამუშავება და ანგარიშგება;

ვ) გადასწყვიტოს საკითხები სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების ვადის გადადებისა და ვადის განაწილებისა, მოხსნისა და საგადასახადო თანხების დაბრუნების შესახებ, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მინიჭებულ უფლებათა ფარგალში;

ზ) განიხილოს ზედამხედველობის წესით გადასახადის გადამხდელთა საჩივრები;

თ) მიიღოს მონაწილეობა ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შედგენაში—საგადასახადო შემოსავლისა და საგადასახადო აპარატის კრედიტების აღრიცხვისათვის, და აგრეთვე—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის შედგენაში;

ი) შეადგინოს პერიოდული მიმოხილვანი და წარუდგინოს საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატს;

კ) შეადგინოს ადგილობრივ საფინანსო ორგანოების საღერბო მარკებით მომარაგების გეგმა.

25. ა/კ. ფინ. სახ. კომისარიატის საგადასახადო სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი (სათანადო შემთხვევაში—მისი მოადგილე).

საგადასახადო სამმართველოს შედგენილობაში შედის ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად მომქმედი:

1. კანცელარია.

2 პირდაპირი გადასახადებისა და გამოსაღების განყოფილება.

3. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილება.

4. არაპირდაპირი გადასახადების განყოფილება.

5. საორგანიზაციო-საინფორმაციო და საალნუსხვო-სტატისტიკური განყოფილება.

26. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის **სახელმწიფო შემოსავლის სამმართველო:**

ა) შეიმუშავებს საკანონმდებლო განზრახულებათა პროექტებს არასაგადასახადო შემოსავლის სფეროში და იმ განაწესებისა, ინსტრუქციებისა და განკარგულებების პროექტებს, რითაც მოწესრიგდება ამ შემოსავლის მიღება;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს ა/კსფსრ ტერიტორიაზე არასაგადასახადო შემოსავლის საქმისთვის მუშაობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეიმუშავებს სხვა-და-სხვა ღონისძიებას სახელმწიფო შემოსავლის გადიდებისა და თავის დროზე მიღებისათვის;

დ) შეიმუშავებს საჯარო ანგარიშგების წესებს;

ე) აღნუსხავს და თვალყურს ადევნებს, რათა ა/კსფსრ საჯარო ანგარიშვალდებულმა სახელმწიფო დაწესებულებებმა და სამეურნეო ორგანოებმა მიზანშეწონილად გამოიყენონ მათთვის გადაცემული სახელმწიფო კაპიტალები და სახსარი; აღნუსხავს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს ცნობების მიხედვით, ა/კსფსრ საკრედიტო დაწესებულებებში მოთავსებულ სახელმწიფო კაპიტალებს, თვალყურს ადევნებს ამ სახელმწიფო კაპიტალების მდგომარეობას და, სავალიუტო სამმართველოსთან შეთანხმებით, ამოჭკრეფს იმ მოგებას, რაც საკრედითო დაწესებულებებისაგან ერგება სახელმწიფოს თავის კაპიტალზე;

ვ) თვალყურს ადევნებს, რათა საკრედიტო დაწესებულებებმა შეასრულონ საჯარო ანგარიშგების წესები;

ზ) შეამოწმებს საჯარო ანგარიშვალდებულ სამრეწველო, სავაჭრო საწარმოთა და დაწესებულებათა ანგარიშებს და ბალანსებს; დაამტკიცებს ამ ანგარიშებსა და ბალანსებს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით და გამოარკვევს ანგარიშვალდებულ დაწესებულებების მოქმედების შედეგს და ფინანსიურ მდგომარეობას; ცხადჰყოფს ა/კსფსრ სამრეწველო, სავაჭრო დაწესებულებათა და საწარმოთა მოგებას, რაც ხაზინაში გადარიცხულ უნდა იქნეს; დაამყარებს წესსა და ფორმას ამ მოგების ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში შეტანისას; მონაწილეობას მიიღებს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც მრეწველობის ფინანსიურად მოგვარების საქმეს შეეხება;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა მუშაობას საჯარო ანგარიშვალდებულ ადგილობრივი მრეწველობისა და ვაჭრობის ბალანსებისა და ანგარიშების განხილვის სფეროში, რათა გამორკვეულ იქნეს მოგება და იგი თავის დროზე შეტანილ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში;

ი) აღნუსხავს ა/კსფსრ სახელმწიფო ქონებასა და შემოსავალს და ხელმძღვანელობას გაუწევს იმ შემოსავლის გადახდევინების საქმეს, რაც უნდა მოიცეს სახელმწიფო საადგილმამულო ქონებამ (მიწამ, ტყემ, წიალმა და სხვ.), ბაჟმა და გამოსაღებმა; აღნუსხავს ა/კსფსრ სახელმწიფო ფონდებს და მოახდენს მათ რეალიზაციას სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების თანახმად;

კ) შეისწავლის ა/კსფსრ არასაგადასახადო შემოსავლის გადიდების შესაძლებლობის საქმეს; შეიმუშავებს ა/კსფსრ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს სახელმწიფო შემოსავლის სფეროში და მისცემს სათანადო დასკვნებს; ინსტრუქტორობას გაუწევს დაწესებულებებს არასაგადასახადო შემოსავლის სფეროში; შეადგენს პერიოდულ ანგარიშებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოქმედებისას არასაგადასახადო შემოსავლის სფეროში და წარადგენს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატში და სხვა სათანადო ინსტანციაში, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალებით;

ლ) შეიმუშავებს სესხთა გაცემის პირობებს, ამ სესხთა დაფარვისა და %%-ს მიღების წესს და აწარმოებს ხაზინიდან გაცემულ სესხთა აღნუსხვას;

მ) შეასრულებს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალებას საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გამოსაღებისა და შემოსავლის სფეროში;

ნ) ზედამხედველობას გაუწევს სსრკ-სა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმ სახელმწიფო საწარმოთ, რომელნიც მოქმედებენ და ჰყავთ ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამგეობანი, და მოახდენს მათი მდგომარეობის გამოკვლევას ყოველ ცალკე შემთხვევაში სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით.

27. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი (სათანადო შემთხვევაში—მისი მოადგილე).

სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოს შედგენილობაში შედის—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად მომქმედი:

1. კანცელარია.
2. ვაჭრობისა, მრეწველობისა და სახელმწიფო ფონდების განყოფილება.
3. სახელმწიფო საადგილმამულო ქონებისა და სატყეო განყოფილება.
4. საალრუსხვო განყოფილება.

28. **ადგილობრივი ფინანსების სამმართველოს** დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს კანონპროექტები ადგილობრივ ფინანსების სფეროში და მისცეს დასკვნა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს შუამდგომლობის გამო—იმ ახალი გადასახადების შემოღების შესახებ, რაც მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის;

ბ) შეადგინოს დასკვნები ადგილობრივი ფინანსების სფეროში ა/კსფსრ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებისათვის წარსადგენად; შეისწავლოს სხვადასხვა ადგილის ეკონომიკა, რათა რესპუბლიკებ შორის სისწორით იქნეს განაწილებული ყოველგვარი დახმარება, რაც სახელმწიფო სახსარიდან გაიცემა;

გ) განიხილოს ადგილობრივი ბიუჯეტები და მისცეს დასკვნა ამ ბიუჯეტებით გათვალისწინებული დეფიციტების დაფარვის საკითხების გამო;

დ) შეიმუშაოს ადგილობრივი დაბეგვრის სისტემა და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმეს სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში;

ე) საერთო ხელმძღვანელობა გასწიოს და თვალყური ადევნოს, რათა გამოყენებულ იქნეს იმ ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავლის წყაროები, რაც ადგილობრივი ფინანსების სამმართველოს კომპეტენციისათვის არის მიკუთვნებული;

ვ) შეადგინოს ასიგნვის პროექტი საერთო-სახელმწიფოებრივი სახსარიდან სესხისა და დახმარების გაცემისა ადგილობრივ სახსართა გასაძლიერებლად

ზ) მისცეს დასკვნა ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი ცალკე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შუამდგომლობის გამო—გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ, ადგილობრივი კონცესიების პროექტების გამო და საალმდგენო მუშაობის საფინანსო გეგმების გამო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) მისცეს დასკვნა ცალკე რესპუბლიკებისა და ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების სახელმწიფო გადასახადებისა და სახელმწიფო შემოსავლის იმ ანარიცხების რაოდენობის შესახებ, რაც ადგილობრივ სახსარს უნდა გადაეცეს;

ი) მისცეს ადგილობრივ ორგანოებს ინსტრუქციები, წესები, ცირკულიარები და განმარტებანი ადგილობრივი ფინანსების საკითხების გამო;

კ) განიხილოს, ზედამხედველობის წესით და საჩივრების გამო, ადგილობრივი ორგანოების მოქმედება, დადგენილებანი და განკარგულებანი ადგილობრივი ფინანსების საკითხების შესახებ და აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა აღნიშნულ დადგენილებათა გაუქმების შესახებ, უკეთუ კანონს არ ეთანხმებიან;

ლ) შეადგინოს ადგილობრივი ბიუჯეტების ჯუმლი ა/კსფსრ მასშტაბით;

მ) შეადგინოს პერიოდული ჯუმლი-ანგარიშები ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების შესახებ ა/კსფსრ-ში და ადგილობრივ სახსართა საჯუმლო ბალანსი;

ნ) სტატისტიკურად აღნუსხოს ადგილობრივი მნიშვნელობის კაპიტალები, ქონება და საწარმონი და შეიმუშაოს ცნობები ადგილობრივი შემოსავლის და გასავლის შესახებ;

ო) ინსტრუქტორობა გაუწიოს ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს და გამოიკვლიოს ისინი ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების სფეროში და აგრეთვე შეიმუშაოს მათთვის ანგარიშწარმოებისა და საბუხჰალტრო ანგარიშგების წესები, საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან შეთანხმებით;

29. სამმართველოს სათავეში სდგას სამართველოს უფროსი (სათანადო შემთხვევაში—მისი მოადგილე).

ადგილობრივი ფინანსების სამმართველოს შედგენილობაში შედის—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად მომქმედი:

1. კანცელარია.
2. საბიუჯეტო განყოფილება.
3. ადგილობრივი შემოსავლის განყოფილება.
4. სააღნუსხვო-სტატისტიკური ქვე-განყოფილება.

30. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის **სავალიუტო სამმართველოს** დაკვირება:

1) შეიმუშაოს დადგენილებათა პროექტები ა/კსფსრ-ში ფულის ტრიალისა და საკრედიტო საქმის საკითხების შესახებ; წარუდგინოს ა/კსფსრ უმაღლეს ორგანოებს დასკვნები სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული სავალიუტო ხასიათის კანონპროექტების გამო;

2) მოაწესრიგოს ა/კსფსრ ფარგლებში ფულის ტრიალის საქმე არსებულ კანონდებულებებისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების თანახმად, და აგრეთვე მოაწესრიგოს, ა/კსფსრ დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, საქონლის ფასები; ხელმძღვანელობა გაუწიოს საგამონაცვლო ოპერაციების საქმეს ფულის ნიშნების ტრიალიდან გამორიცხვისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) მოაწესრიგოს, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივებისამებრ, ა/კსფსრ ფარგლებში უცხოეთის ვალიუტის ტრიალისა, ამ ვალიუტის უცხოეთში გატანისა და ამერიკაკავკასიაში შემოტანის საქმე; ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ სასაქონლო-საფინდო ბირჟების საფინდო განყოფილებათა მოქმედებას.

4) ხელმძღვანელობა გაუწიოს ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების სასინჯო სამმართველოებს, მათ შესახებ არსებული დებულებებისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების თანახმად.

5) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებულ ყველა საკრედიტო დაწესებულების მოქმედებას; ზედამხედველობა გაუწიოს და მოაწესრიგოს ოპერაციები იმ საკრედიტო დაწესებულებებისა, რომელთა მოქმედების რაიონი ა/კსფსრ ტერიტორიას არა სცილდება და მოახდინოს მათი ფაქტიური გამოკვლევა და რევიზია; ზედამხედველობა გაუწიოს და მოაწესრიგოს ყოველგვარი კოოპერატივის მოქმედება, რომელიც-კი საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებს, და აგრეთვე მათი კავშირებისა ა/კსფსრ ფარგალში და, უკეთუ საჭირო იქნება, მოახდინოს მათი ფაქტიური გამოკვლევა და რევიზია; ზედამხედველობა გაუწიოს საკავშირო მნიშვნელობის საკრედიტო დაწესებულებების ფილიალებს, რომელნიც ა/კსფსრ ფარგლებში მოქმედებენ, და, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანხმობით, მოახდინოს მათი ფაქტიური გამოკვლევა და რევიზია; საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებათა, ხოლო უფლება არა აქვს ჩაერიოს მათ ადმინისტრატიულ-ოპერატიულ მოქმედებაში; თავის განკარგულებად იქონიოს ფასიანი ბლანკები, რომლებიც ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს ეგზავნებათა; შეიმუშაოს „ნორმალური წესდებანი ყოველგვარი საკრედიტო დაწესებულებისათვის; განიხილოს წესდებანი ა/კსფსრ ახლად დასაარსებელი საკრედიტო დაწესებულებებისა, აგრეთვე“ შესცვალოს და შეავსოს არსებული დაწესებულებების წესდებანი და წარუდგინოს ხსენებული წესდებანი ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საბოლო დამტკიცებისათვის.

6) განათავსოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო სესხნი და თვალყური ადევნოს მათ დაფარვას ამ სესხთა შესახებ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალური მინდობილობის საფუძველზე.

31. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი (სათანადო შემთხვევაში—მისი მოადგილე).

სავალიუტო საამართველოს მოქმედება მოწესრიგდება განსაკუთრებული დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი და დაამტკიცებს ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო.

32. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის **საფინანსო-საკონტროლო** სამმართველოს დაკისრება—განახორციელოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე საკონტროლო მუშაობა ა/კსფსრ ბიუჯეტის შესრულების ფარგალში და შეამოწმოს, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული მინდობილობით, საერთო-საკავშირო და გაერთიანებული სახალხო კომისარიატების დაწესებულებათა ანგარიშგება სკაშვირო საერთო აღრიცხვების მიხედვით.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს და თვალყური ადევნოს ა/კსფსრ საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა მოქმედებას;

ბ) მოახდინოს შემდგომი შემოწმება ა/კსფსრ და ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ყველა დაწესებულების დოკუმენტალური ანგარიშგებისა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლისა, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის სფეროში, აგრეთვე შეამოწმოს ყველა ფულადი და, თუ საჭირო იქნება, მატერიალური ფასეულობის ბრუნვა, რაც მის ქვემდებარე სალაროებში და დაწესებულებებშია;

გ) მოახდინოს ფაქტიური შემოწმება ფულადი და მატერიალური ფასეულობისა, შენობებისა, ნაგებობისა და სხვა ოპერაციებისა, დოკუმენტალური ანგარიშგების შემოწმებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოების განსაკუთრებული მინდობილობით.

დ) შეადგინოს ანგარიში ა/კსფსრ ბიუჯეტის შესრულებისა და ჯუმლი ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებისა, ადგილობრივი ფინანსების სამმართველოს ცნობისა და სალაროების ბრუნვის ნუსხების თანახმად;

ე) შეიმუშაოს საინციატივო წესისამებრ და წარუდგინოს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად პროექტები, წესები და საფინანსო ანგრიშწარმოებისა და ანგარიშგების ფორმები, ანგარიშებისა და სარევიზიო საქმისწარმოების წესები;

ვ) თვალყური ადევნოს ა/კსფსრ უწყებაში საფინანსო-საანგარიშო ნაწილის წესიერად დაყენების საქმეს;

ზ) მოახდინოს უეცარი შემოწმება ა/კსფსრ იმ დაწესებულებათა სალაროებისა, რომელნიც მის კონტროლქვეშ იმყოფებიან და, უკეთუ საჭირო იქნება, ფედერატიული (ა/კსფსრ) და რესპუბლიკანური (აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა სალაროებისა და აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებათა სალაროებისა;

უკეთუ რევიზიის წესით აღმოჩენილ იქნება უწესობა და ბოროტმოქმედება, საფინანსო-საკონტროლო სამმართველო, არსებული დებულების თანახმად, მიიღებს ღონისძიებას წესის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად, დამნაშაეეთა სასამართლოს წესით პასუხისგებაში მისაცემად და ხაზინის ზარალის ასანაზღაურებლად.

ᲗᲗ. სამმართველოს სათავეში სდგას სამმართველოს უფროსი (სათანადო შემთხვევაში—მისი მოადგილე).

საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს შედგენილობაში შედის,—ა/კ. ფინანთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად მომქმედი:

1. კანცელარია.
2. საკონტროლო განყოფილება.
3. ცენტრალური ბუხჰალტერია.
4. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან არსებობს საკონტროლო თათბირი, რომელიც მოქმედებს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

34. **საფინანსო-საეკონომიო ბიუროს** დაეკისრება:

ა) მეცნიერულად და სამეცნიერო-პრაქტიკულად შეიმუშაოს საფინანსო-ეკონომიური და საფინანსო-უფლებრივი საკითხები ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატების დავალებით;

ბ) შეადგინოს დასკვნები იმ დეკრეტებისა და დებულებების პროექტების გამო, რაც შემუშავებულ იქნება ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში და აღნიშნული მიზნით გადაეცემა საფინანსო-საეკონომიო ბიუროს;

გ) შეისწავლოს ა/კ-ის სამეურნეო კონიუნქტურა ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალებით;

დ) შეიმუშაოს სტატისტიკურად, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალებით, სხვა-და-სხვა მასალა ამერკ. სახელმწიფო და სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა და დინამიკის გასაშუქებლად;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ საფინანსო ორგანოების სტატისტიკის საქმეს და შეათანხმოს ამ მიზნით ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საალრუსხვო და სტატისტიკური მუშაობა;

ვ) შეასრულოს სტატისტიკური სამუშაო სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მინდობილობით;

ზ)შედგინოს ანგარიშები და მიმოხილვანი ა/კსფსრ ფინანსიური მდგომარეობისა და ფინანსიურ ღონისძიებათა შესახებ;

თ) რედაქტორობა გაუწიოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემებს და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ გამოცემებისათვის მასალის შედგენის საქმეს;

ი) ხელმძღვანელობა გაუწიოს, თავის კომპეტენციის ფარგლებში, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ (აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) ორგანოების გამგებლობაში მყოფ სამეცნიერო კონსულტანტების მუშაობას.

35. წინა მუხლში აღნიშნულ მიზნების განსახორციელებლად ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საეკონომიო ბიურო იხელმძღვანელებს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატის (საფინანსო-საეკონომიო ბიუროს ხაზით) დირექტივებს.

36. საფინანსო-საეკონომიო ბიუროს ჰმეთაურობს პრეზიდიუმი, რომელსაც შეადგენენ თავმჯდომარე, მსწავლული მდივანი და საფ.-საეკონ. ბიუროს სტატისტიკური განყოფილების მმართველი. თავმჯდომარედ არის ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, რომლის გამგებლობაშიაც ბიურო ითვლება.

37. ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საეკონომიო ბიუროს შედგენილობაში შედის.—ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშავებული და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად მომქმედი:

ა) სეკრეტარიატი;

ბ) სტატისტიკური განყოფილება;

გ) სამეცნიერო-საკონსულტაციო ნაწილი;

დ) სარედაქციო-საგამომცემლო ნაწილი.

სეკრეტარიატისა, სამეცნიერო-საკონსულტაციო და სარედაქციო-საგამომცემლო ნაწილებისა, აგრეთვე ბიბილოთეკისა და ამონაკრეფთა ბიუროს მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს მსწავლული მდივანი; ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საეკონომიო ბიუროს სტატისტიკური განყოფილების გამგებლობა და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მის რწმუნებულთა სამმართველოების სტატისტიკური ორგანიზაციებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისრება ა/კ. ფინ. სახალხო კომ-ის სტატისტიკური განყოფილების მმართველს.

38. ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საეკონომიო ბიუროს შედგენილობაში შეიძლება მოეწყოს:

1) აგიტაციისა და პროპაგანდის ბიურო, რომელსაც მიზნად ექნება ცალკე სამმართველოთა მუშაობის გაერთიანება სსრკ ფინ. სახ. კომისარიატისა და ა/კ. ფინ. სახ. კომ. მიერ განსახორციელებელ საფინანსო ღონისძიებათა პოპულიარიზაციის სფეროში, და

2) საფინანსო მომუშავეთა მოსამზადებელი კურსების სასწავლო ნაწილის გამგე ბიურო.

დამტკიცებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესსიის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს.

ა/კ. ცენ. აღმასრ. კომ.
მდივანი ა. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

600. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის შესახებ.

1. ა/კსფსრ კონსტიტუციის თანახმად და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 1 და 3 მუხლის მიხედვით, მოეწყობა ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, რომელსაც დაეკისრება შრომის პირობების მოწესრიგება ა/კსფსრ ტერიტორიაზე.

2. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა. განახორციელოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყველა დებულება და ნორმა, რაც შრომის მოწესრიგებისათვის ა/კსფსრ და სსრკ ხელისუფლების სათანადო ორგანოების მიერ გამოიცემა.

ბ. შეიმუშაოს და შეიტანოს ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოსა და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში დასამტკიცებლად საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის დადგენილებებისა და დეკრეტების პროექტები მიმდინარე კანონმდებლობის საკითხების შესახებ შრომის სფეროში, შედგენილი საერთო-საკავშირო შრომის კანონმდებლობის ძირითად დებულებათა თანახმად და ა/კსფსრ ადგილობრივ თავისებურობათა მიხედვით.

გ. გამოსცეს დადგენილებები და ცირკულიარები იმ საკითხების შესახებ, რაც დაკავშირებულია მუშაობასთან შრომის პირობებისმოწესე რიგების სფეროში, კანონით დაწესებულ ფარგლებში და ა/კსფსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოებისა და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივების მიხედვით.

დ. აღძრას ხელმე ა/კსფსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოებისა და აგრეთვე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხები შრომის ძირითადი კანონების შეცვლისა ან დამატების საჭიროების შესახებ.

ე. განახორციელოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე როგორც ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს და სსრკ ორგანოებისა, ისე თვისი ინიციატივით აღძრული ღონისძიებანი და განკარგულებანი:

ა) შრომის ბირჟის მოწესრიგებისა და უმუშევრობასთან ბრძოლისათვის;

ბ) შრომის დაცვისა და ყოველგვარი სახის შრომის ინსპექციის მოწყობისათვის;

გ) საქირავნო შრომით მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევისათვის;

დ) მშრომელთა და დამქირავებელთა შორის საქირავნო შრომის გამოყენების ნიადაგზე აღძრულ კონფლიქტების გადაწყვეტისათვის;

ე) სამუშაო ხელფასის მოწესრიგებისათვის;

ვ) ზედამხედველობა გაუწიოს შრომის კანონმდებლობის თანასწორ შეფარდებას.

ზ. შეაგროოს, შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს სტატისტიკური მასალები შრომის სფეროში.

თ. საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მოქმედებას ყველა, მე 2 მუხ. „ე" პუნ. აღნიშნულ, დარგში; აგრეთვე მეთვალყურეობა გაუწიოს ა/კ. რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების სტრუქტურას.

3. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატების შედგენილობაში შედიან შემდეგი განყოფილებანი: საერთო-საორგანიზაციო განყოფილება, შრომის ბაზრის განყოფილება, შრომის დაცვის განყოფილება, სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილება, სტატისტიკური განყოფილება, სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველო და საშრომო საქმეთა ზედამხედველობის ბიურო.

4. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებას დაეკისრება: შეიმუშაოს ნორმები შრომის კანონების შეფარდებისათვის შრომის ბაზრის მოწესრიგების დარგში; შეიმუშაოს ღონისძიებანი უმუშევრობასთან ბრძოლისათვის და უმუშევართათვის დახმარების გაწევის სფეროში; შეისწავლოს შრომის ბაზრის მდგომარეობა და მოწესრიგების საქმე ამერიკაკავკასიის ფედერაციაში; საე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ამერიკავკასიის ცალკე რესპუბლიკების ნორმის სახალხო კომისარიატების პოლიტიკას შრომის ბაზრის დარგში და იქონიოს კონტროლი ამ პოლიტიკისათვის.

5. შრომის სახალხო კომისარიატს შრომის დაცვის განყოფილებას დაეკისრება: შეიმუშაოს და გამოსცეს ნორმები შრომის კანონების შეფარდებისათვის შრომის დაცვის დარგში; აწარმოოს სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობა ფსიქო-ტეხნიკის დარგში; იქონიოს ზედამხედველობა შრომის დაცვის კანონმდებლობის განხორციელებისათვის; შეიმუშაოს, ადგილობრივი პირობების მიხედვით, დადგენილებათა პროექტები არასაშიშროების ტეხნიკისა და პროფესიონალური ჰიგიენის სფეროში.

6. შრომის სახალხო კომისარიატის სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებას დაეკისრება: შეიმუშაოს სატარიფო დებულებანი და მოამზადოს საფუძვლები სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივად მოწესრიგებისათვის, რაც საკანონმდებლო წესით უნდა იქნეს განხორციელებული; მონაწილეობა მიიღოს აკსფარ ბიუჯეტის პროექტის შედგენაში; თვალყური ადევნოს სამუშაო ხელფასის გასაცემად სახელიწიფო ორგანოებისათვის გადადებული სახსარის სწორედ განაწილებას და კონტროლი იქონიოს სამუშაო ხელფასის თავის დროზე და სისწორით გადახდისათვის; გამოაქვეყნოს პერიოდულად სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მინიმუმი; მომრიგებლობისა და სამედიატორო წესით განიხილოს საშრომო კონფლიქტები, რომელთაც საერთო-ამერკავკასიური მნიშვნელობა აქვთ; დაამყაროს წესი სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებების სპეციალისტებთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულებებისა და საშრომო შეთანხმებების რეგისტრაციისათვის და აგრეთვე ამ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რეგისტრაციისათვის ამერკავკასიის მასშტაბით.

7. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს დაეკისრება: თვალყური ადევნოს აკსფარ და სსრკ ორგანოების მიერ სოციალური დაზღვევის სფეროში გამოცემული საერთო დადგენილებებისა და დირექტივების განხორციელებას აკსფერ ფარგლებში; აწარმოოს აღნუსხვა სოციალური დაზღვევის საოპერაციო ფონდებისა და განაგოს სათადარიგო ფონდები; შეადგინოს საერთო ხარჯთაღრიცვები და ანგარიშები და აგრეთვე დაამტკიცოს რესპუბლიკანური სოციალური დაზღვევის სამმართველოების ხარჯთაღრიცხვები; განიხილოს საჩივრები სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური ორგანოების მოქმედების გამო და აგრეთვე გაუქმოს ან შესცვალოს მათი დადგენილებანი და განკარგულებანი; საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ ორგანოებს.

8. სტატისტიკურ განყოფილებას დაეკისრაბა: შეიმუშაოს საქმისწარმოებისა და ანგარიშგების თანაბარი ფორმები შრომის ყოველგვარი სახის სტატისტიკისათვის; შეჯუმლოს და შეიმუშაოს ამერკავკასიის სტატისტიკური მასალები; შეადგინოს პერიოდული მიმოხილვები და ანგარიშები და აგრეთვე გამოაქვეყნოს ცნობები შრომის სტატისტიკის შესახებ; საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს შრომის რესპუბლიკანურ სტატისტიკურ ბიუროების მუშაობას და იქონიოს მათ მიმართ კონტროლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საერთო-საორგანიზაციო განყოფილებას დაეკისრება: კონტროლი გაუწიოს რესპუბლიკანური შრომის სახალხო კომისარიატების სათანადო სტრუქტურას; შეიმუშაოს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა და შტატები; გაანაწილოს კრედიტები და კონტროლი გაუწიოს მათი დახარჯვის საქმეს; აწარმოოს შრომის სახალხო კომისარიატის მომუშავეთა აღნუსხვა ამერკავკასიის მასშტაბით; საფინანსო-სამეურნეო მომსახურეობა გაუწიოს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატსა და რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებს და განაგოს მისი ქონება; გამოსცეს ბეჭდვითი მასალები; შეადგინოს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო ანგარიშები; განაგოს არქივი და ბიბლიოთეკა.

10 საშრომო საქმეთა ზედამხედველობის ბიუროს დაეკისრება: გადასწყვიტოს საკითხები, რაც შეეხება პროტესტის შეტანას რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებული მომრიგებელი კამერებისა და სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე მათი კანონთან შეუთანხმებლობის გამო; საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს ამერკავკასიის ცალკე რესპუბლიკების საშრომო პროკურატურის მუშაობას და ხელმძღვანელობდეს მას სათანადო შრომის სახალხო კომისარიატების მეშვეობით; აღძრას, სათანადო პროფესიონალური ორგანოების წარდგენისამერ, ისეთი საშრომო საქმეები, რაც უზენაეს სასამართლოს ექვემდებარება; პროტესტი შეიტანოს, ზედამხედველობის წესით, უზენაეს სასამართლოში არამართლიერ განაჩენზე და გადაწყვეტილებაზე; ხელი შეუწყოს შრომის დაცვისა და სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებათ მათ მუშაობაში.

დამტკიცებულია ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე 2 სესსის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს.

ა/კ. ცენ. აღმასრ კომ.
მდივანი ა. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

601. სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება.

1. რწმუნებულის დანიშვნისა და გაწვევის წესი და მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საერთო დებულებით ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების შესახებ.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ რწმუნებულს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისას ექვემდებარება უშუალოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფი ყველა აგენტი და ორგანო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განკარგულებათა ფარგალში და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით, რწმუნებული განაგებს ყველა იმ ფულად და მატერიალურ ფონდს, რაც ა/კსფსრ ტერიტორიაზეა და მის განკარგულებაშია გამოყოფილი როგორც საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ისე ა/კსფსრ მთავრობის მიერ საგარეო ვაჭრობის ოპერაციებისათვის. ა/კსფსრ მთავრობის მიერ გამოყოფილი და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის გადაცემული საექსპორტო ფონდები დარჩება ა/კსფსრ საკუთრებად.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფი რწმუნებულისათვის დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად საგარეო ვაჭრობის მოწესრიგებ ს სფეროში, მასთან დაარსდება სამმართველო.

5. ა/კსფსრ ტერიტორიაზე კომერციული ოპერაციების განხორციელებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფი რწმუნებულის უშუალო ხელმძღვანელობით და კონტროლით მოწყობილია სახელმწიფო საიმპორტო-საექსპორტო კონტორა (სახვაჭრობა) იურიდიული პირის უფლებით, რომელი კონტორაც მოქმედებს განსაკუთრებული დებულების თანახმად. სახვაჭრობა მოქმედებს საგარეო ვაჭორობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო საწარმოთა და დაწესებულებათა სამმართველოს ხელმძღვანელობით.

6. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება) არსებული სახვაჭრობა თავის კომერციულ ოპერაციებს აწარმოებს მარტოოდენ ა/კსფსრ ტერიტორიაზე. უკეთუ საჭირო იქნება ამა თუ იმ ოპერაციის წარმოება სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იგი განხორციელებულ უნდა იქნეს მარტოოდენ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის იმ რწმუნებულის სახვაჭრობის მეშვეობით, რომელიც სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება; ხოლო საღზეარგარეთ—სათანადო სავაჭრო წარმომადგენლობის კომერციული ნაწილის მეშვეობით.

7. რწმუნებულის მიზანს შეადგენს:

ა) მოახდინოს გამოკვლევა და შეისწავლოს შინა და საგარეო ბაზრები, საექსპორტო და საიმპორტო შესაძლებლობანი და აგრეთვე შეიმუშაოს ის ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ექსპორტის განვითარებას;

ბ) შეიმუშაოს ა/კსფსრ საექსპორტო-საიმპორტო გეგმა; შეუთანხმოს იგი სათანადო მოკავშირე რესპუბლიკას; წარუდგინოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და, სათანადო დამტკიცების შემდეგ, განახორციელოს იგი;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და პირის საგარეო ვაჭრობის ოპერაციებს;

დ) თვალყური ადევნოს კანონთა და განკარგულებათა სისწორით აღსრულებას საგარეო ვაჭრობის სფეროში და დაიცვას საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

ე) გასცეს ლიცენზიები და მოწმობები საქონლის გატანისა და შემოტანისათვის იმ კონტინგენტთა ფარგლებში, რაც საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ მიკუთვნებულია რწმუნებულისათვის თანახმად დამტკიცებული საერთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო საექსპორტო-საიმპორტო კომისია; აგრეთვე გასცეს ლიცენზიები და მოწმობები არასაკონტინგენტო საქონლის გატანისათვის;

ვ) გაუწიოს კონტროლი ა/კსფსრ ტერიტორიაზე შერეულ საზოგადოებათა მოქმედებას;

ზ) წინასწარ შეიმუშაოს საკითხები საგარეო ვაჭრობის ცალკე დარგების გაკონცესიონებისა და გააქციონების შესახებ;

თ) გასწიოს ეკონომიური კონსულტაცია საგარეო ვაჭრობის საკითხებში;

ი) შეასრულოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ყველა დავალება და განკარგულება.

8. საზღვარგარეთ მეთვალყურეობისა და დახმარების გასაწევად საგარეო ვაჭრობის იმ ოპერაციების წარმოებისათვის რაც დაკავშირებულია ა/კსფსრ საჭიროებათა მომსახურეობასთან, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თანხმობით და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებართვით, შეუძლიან დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებს სსრკ სათანადო სავაჭრო წარმომადგენლობის შედგენილობაში, თანახმად საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ წარდგენილი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებისა.

9. უკეთუ საჭირო იქნება, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ თავრობის შეთანხმებით, ა/კსფსრ ტერიტორიაზე შეიძლება დაარსებულ იქნეს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის უშუალო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ქვეშ, სპეციალური სააქციონერო საზოგადოებანი იმპორტისა და ექსპორტისათვის.

10. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული, ა/კსფსრ სახ. კომის. საბჭოსთან მყოფი, მოაწყობს, უკეთუ საჭირო იქნება, საგარეო ვაჭრ. სახ. კ-ტის დამტკიცებით, ა/კსფსრ ტერიტორიაზე საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განყოფილებათ. ამ განყოფილებათა სათავეში სდგანან უფროსები, რომელნიც უშუალოდ რწმუნებულს ექვემდებარებიან.

დამტკიცებულია ამიერკავკასიას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის
მდივანი ა. შ ა ვ ე რ დ ო ვ ი.

დ ე კ ე ტ ლ ე ბ ა

602. სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული.

2. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფს, დაამტკიცებს ამ თანამდებობაზე და გაიწვევს ამ თანამდებობიდან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, გზათა სახალხო კომისარიატის წარდგენით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან. იმავე წესისამებრ დაინიშნებიან და გაიწვევიან მისი მოადგილენი.

3. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული შედის ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში გადამწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლებით, იმის მიხედვით, თუ როგორ გადასწყვეტს ამას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი პოეზიდიუმი, და იგი გზათა სახალხო კომისრის სახელით წარმომადგენლობს ა|კსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების ყველა ორგანოში იმ საკითხების გამო, რასაც კავშირი აქვს გზებისა და ტრანსპორტის სფეროში მოქმედებას.

4. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა|კსფსრ-ში მიაწვდის ინფორმაციას ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს გზათა სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ და თავის მოქმედებისათვის ანგარიშვალდებულია როგორც სსრკ სახალხო კომისრის წინაშე, ისე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

5. გზათა სახალხო კომისრის რწმუნებული ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში უმაღლესი წარმომადგენელი და უშუალო ხელქვეითია გზათა სახალხო კომისარიატისა; იგი ა|კსფსრ ტერიტორიაზე აერთიანებს სარკინისგზო, საზღვაო, წყალთა და ადგილობრივი ტრანსპორტის მოქმედებას, აძლევს ამ მოქმედებას საერთო მიმართულებას და ზედამხედველობასა და ხელმძღვანელობას გაუწევს გზათა და ტრანსპორტის ყველა დაწესებულებას.

6. თავის მოქმედებაში გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული (ა|კსფსრ სახ. კომის. საბჭოსთან მყოფი) იხელმძღვანელებს სსრკ უმაღლესი ორგანოების დეკრეტებსა, დადგენილებებსა და განკარგულებებს, გზათა სახალხო კომისარიატის დადგენილებებსა და განკარგულებებს და აგრეთვე ა|კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოების დეკრეტებსა, დადგენილებებსა და განკარგულებებს, რაც გამოცემული იქნება მათი კომპეტენციის ფარგლებში და არ ეწინააღმდეგება საერთო-საკავშირო კანონმდებლობას.

7. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა|კსფსრ-ში, განახორციელებს-რა ამიერკავკასიის მასშტაბით სსრკ უმაღლესი ორგანოების დადგენილებებს ტრანსპორტისა და გზების შესახებ და გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებებს:

ა) გამოსცემს ქვემდებარე ორგანოებისათვის სავალდებულო ინსტრუქციებს, ბრძანებებს და განკარგულებებს;

ბ) შეუთანხმებს ამიერკავკასიისა და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების მოქმედებას სსრკ უმაღლესი ორგანოების კანონებსა და დადგენილებებს ტრანსპორტისა და გზების შესახებ, და აგრეთვე გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებებს.

8. ისეთი საკითხების გამო, რაც მარტოოდენ ადგილობრივი მნიშვნელობის ინტერესებს ეხება, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს უფლება აქვს მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რასაც შემდგომ იგი მოახსენებს გზათა სახალხო კომისარს.

9. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს უშუალოდ ექვემდებარება ამერიკავკასიის პორტების განყოფილება და ამერიკავკასიის გზატკეცილებისა და შარაგზების სამმართველო; ამასთანავე საზღვაო და ადგილობრივი ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს შერჩენილი აქს საერთო მეთვალყურეობა ამა დაწესებულებათა მოქმედებისათვის.

ამერიკავკასიის რკინის გზების მიმართ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ეკუთვნის ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა; ხოლო დანარჩენ სატრანსპორტო დაწესებულებებისა და გზების მიმართ, რაც აკსფსრ ტერიტორიაზეა, იგი განახორციელებს საერთო საინსპექტორო ზედამხედველობას.

10. სახალხო კომისარიატის რწმუნებულს უფლება აქვს, გზათა სახალხო კომისრის წინაშე პასუხისმგებლობით, გააუქმის და შეაჩეროს ამერიკავკასიის რკინის გზების გამგეობისა და სამმართველოს და მის საერთო ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სატრანსპორტო დაწესებულებათა დადგენილება და განკარგულება, და ეს თავისი გადაწყვეტილება და მისი გამომწვევი მოტივები უნდა მოახსენოს გზათა სახალხო კომისარს.

11. ყველა საკომანდო და პოლიტიკური შედგენილობის თამამდებობაზე დანიშვნა და ამ თანამდებობიდან დათხოვნა, რაც-კი ამერიკავკასიის სატრანსპორტო დაწესებულებებში გზათა სახალხო კომისრის ბრძანებით მოხდება, წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან, — ხოლო ამერიკავკასიის რკინის გზებზე, ამის გარდა, — გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან, რომელნიც ხსენებულ რკინის გზებზე იმყოფებიან.

12. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ გაერთიანებულ გზებისა და ტრანსპორტის დაწესებულებათაგან (ამერიკავკასიის რკინის გზები, სავაჭნაოსნობისა და ამერიკავკასიის პორტების სამმართველო და გზატკეცილებისა და შარაგზების სამმართველო) აღძრული უაღრესი პრინციპიალური მნიშვნელობის საკითხები, — რაც განხილულ უნდა იქნეს სსრკ, აკსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოების მიერ, აგრეთვე — გზათა უწყების ცენტრალური ორგანოების მიერ, — აღნიშნულმა დაწესებულებებმა წინასწარ უნდა შეუთანხმონ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს; ამასთანავე იმ საკითხს, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო წესით გადაწყვეტას, იგი უშუალოდ წარადგენს აკსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების საკანონმდებლო დაწესებულებებში; — ხოლო საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხები წარედგინებათ იმავე დაწესებულებათა გზათა სახალხო კომისრის მეშვეობით.

13. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან არის:

ა) საბჭო — იმ პრინციპიალური საკითხების განსახილველად, რაც შეეხება ამერიკავკასიის ტრანსპორტს მთლიანად და მისი სხვა-და სხვა ორგანოების ურთიერთობის მოწესრიგებას;

ბ) უმაღლესი ტეხნიკური კომიტეტი — იმ რთული ტეხნიკური საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად, რაც ამერიკავკასიის ყოველგვარი ხასიათის ტრანსპორტს შეეხება.

ეს საბჭო და კომიტეტი მოქმედებენ განსაკუთრებული დებულებების თანახმად, რასაც გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული დაამტკიცებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) კომიტეტი ამიერკავკასიის პორტების საქმეთათვის, რომელიც მოქმედებს პორტების საქმეთა საოლქო კომიტეტების საერთო დებულების თანახმად.

14. გზათა სახალხო კომისრის რწმუნებულთან, ტეხნიკური აპარატის სახით, მოქმედებს მისი სამმართველო, რომლის შტატიც დამტკიცდება არსებული წესისამებრ.

დამტკიცებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს.

ა/კ. ცენ. აღმ. კომ.
მდივანი ა. შავერდოვი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

603. სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება, და ამიერკავკასიის საოლქო სახალხო კავშირგაბმულობის სამმართველოს შესახებ.

1. უმუალო ხელმძღვამელობას ყოველგვარი სახის კავშირგაბმულობისათვის (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი და რადიო) ა/კსფსრ ტერიტორიაზე ეწევა სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება, და რომელიც ამ ხელმძღვანელობას განახორციელებს ამიერკავკასიის საოლქო სახალხო კავშირგაბმულობის სამმართველოს მეშვეობით, როგორც ამ სამმართველოს უფროსი.

2. სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოსთან) დანიშვნისა და გაწვევის წესი და მისი უფლებამოვალეობანი განისაზღვრება საერთო დებულებით ა/კსფსრ სახალხო კომისართა შესახებ.

3. სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული თავისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელია სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის წინაშე და თავისივე მუშაობაში ანგარიშვალდებულია როგორც სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის წინაშე, ისე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე. იგი განახორციელებს ა/კსფსრ მმართველობის ორგანოების ყველა დადგენილებას, თანახმად სსრკ სახალხო კომისარიატებისათვის გამოცემული საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულების მე-14 მუხლისა და სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დირექტივებისა.

4. ამიერკავკასიის კავშირგამბმულობის ოლქის ტერიტორიაზე ყველა სახის კავშირგამბმულობისათვის მოქმედებს საერთო წესები და ნიხრები, რაც დადგენილია ფოსტა-ტელეგრაფის საუწყებოში.

5. სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული შეადგენს ამიერკავკასიის კავშირგამბმულობის ოლქის ტერიტორიაზე საფოსტო-სატელეგრაფო კავშირგამბმულობის მოწყობისა და ექსპლოატაციის გეგმას, რომელსაც შეიტანს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად და წარუდგენს სსრკ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

6. რწმუნებული მოვალეა მჭიდრო საქმიანი კონტაქტი იქონიოს აკსფსრეში შემავალი სომხეთისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკების უმაღლეს ორგანოებთან მით, რომ პირადათ გადასწყვეტს ყველა, ამ რესპუბლიკებისათვის მნიშვნელოვან, საკითხს კავშირგამბმულობის სფეროში და პერიოდულად ამ ორგანოებს პირად მოხსენებას წარუდგენს კავშირგამბმულობის საქმის მდგომარეობის შესახებ.

7. მუდმივი კონტაქტისა და კავშირგამბმულობის სფეროში ყველა საკითხის გასაშუქებლად ამიერკავკასიის ოლქის უფროსი დანიშნავს სომხეთისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოებთან, მათთან შეთანხმებით, თავის რწმუნებულთ, რომელნიც ამავე დროს არიან სათანადო რესპუბლიკების დედა-ქალაქებში ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის გამგენი.

8. ოლქის რწმუნებული თავისი მოქმედებისათვის პასუხისმგებელია ამიერკავკასიის კავშირგამბმულობის ოლქის უფროსის წინაშე და თავისვე მუშაობაში იგი იხელმძღვანელებს ოლქის უფროსისაგან მიღებულ დირექტივებს.

9. კავშირგამბმულობის ოლქის რწმუნებულნი წარადგენენ სომხეთისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოებში პერიოდულ საინფორმაციო მოხსენებას ამა თუ იმ რესპუბლიკაში კავშირგამბმულობის საქმის მდგომარეობის შესახებ, რისთვისაც საჭირო მასალებს ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოსაგან მიიღებენ.

ამ მოხსენებების წარდგენის ვადას დაადგენს ამიერკავკასიის კავშირგამბმულობის ოლქის უფროსი, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა. უკეთუ რომელიმე სასწრაფო შემთხვევაში, სახალხო კომისართა საბჭოს მოთხოვნისამებრ, დანიშნული მოხსენებისათვის საჭიროა ისეთი ცნობების მიღება კავშირგამბმულობის საქმის შესახებ, რაც ოლქის სამმართველოში არ მოიპოვება, უწყებული რესპუბლიკის რწმუნებული უშუალოდ მიმართავს ამ ცნობებისათვის ამ რესპუბლიკის სათანადო დაწესებულებას, თანაც ამის შესახებ აცნობებს ოლქის უფროსს და ოლქის სამმართველოში წარადგენს იმ ჯუმლის ასლს, რომელიც შედგენილია უშუალოდ შეკრეფილი მასალების მიხედვით.

10. რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოებისაგან მიღებულ ყველა დავალებას ოლქის რწმუნებული განახორციელებს ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ოლქის სამმართველოს მეშვეობით.

11. ამიერკავკასიის ოლქის რწმუნებულებს ცალკე ტეხნიკური აპარატი არა ჰყავთ და თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად გამოიყენებენ იმ კონტორების საკანცელარიო აპარატებს, რომლის გამგეთაც თვით არიან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური
ფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხან. ქრ. № 91.
20/IV—26. მთავარლიტი № 612. შეკ. № 6474/1082. დაიბეჭდა 800 ც.